

კვირე ჟონ ჰელარი*

უკრაინის წინააღმდეგ ჩადენილი უკრაინისთვის რუსეთის მიმართ სამართლებრივი ღონის განხორციელების შესაძლებლობები: კრიტიკული ანალიზი**

შესავალი

რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში არაპროვოცირებული შეჭრის კვალდაკვალ, არსებობს ფართო კონსენსუსი, სულ მცირე გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნებში (Global North)¹, იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის სახელმწიფოს ლიდერები, პასუხისგებაში უნდა მიეცნენ აგრესიის დანაშაულის ჩადენისთვის. თუმცა, აღნიშნული კონსენსუსი არ მოიცავს იმ საკითხს, თუ რა ფორმით უნდა დაისაჯოს რუსული აგრესია. ზოგიერთი კომენტატორი დავობს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) წარმოადგენს ყველაზე შესაბამის ფორუმს მაშინაც კი, თუ სასამართლოს უფლებამოსილების გავრცელებას (გაცოცხლებას), რომის სტატუტში ცვლილებების შეტანა დასჭირდება. სხვები მხარს უჭერენ „ad hoc“ (დროებითი) საერთაშორისო ტრიბუნალს, მსგავსად სისხლის სამართლის საერთაშორისო

* პროფესორი. სამხედრო კვლევების ცენტრი, პოლიტიკური მეცნიერებების ცენტრი, კოპენჰაგენის უნივერსიტეტი, სამართლის სკოლა. ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტი.

** სახელწოდება ინგლისურ ენაზე: Options for Prosecuting Russian Aggression Against Ukraine: A Critical Analysis. წინამდებარე სტატია, თავდაპირველად გამოქვეყნდა Journal of Genocide Research-ში, ხელმისაწვდომია: <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/14623528.2022.2095094> სტატია ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად, გამომცემლობა Taylor&Francis თანხმობითა და „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვისთვის“ საავტორო უფლებების ერთჯერადი, უსასყიდლო გადმოცემის საფუძველზე.

1 თუმცა გლობალური სამხრეთის ქვეყნების უმრავლესობამ ხმა მისცა Res. ES-11/A, სასარგებლოდ, რეზოლუცია კონკრეტულად არ მიიჩნევა შეჭრას, როგორც დანაშაულებრივ ქმედებას. შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი სახელმწიფოები მიიჩნევენ შეჭრას, როგორც უკანონო, ასევე დანაშაულებრივ ქმედებად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 2(4) მუხლის ნებისმიერი დარღვევა დანაშაულებრივ ქმედებად არ მიიჩნევა არც რომის სტატუტისა და არც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით.

ტრიბუნალისა ყოფილი იუგოსლავიისთვის (ICTY) და საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალისა რუანდასთვის (ICTR) ან უკრაინის სასამართლო სისტემაზე დაფუძნებული შერეული ტრიბუნალი, რომელიც მხარდაჭერილი იქნება **ევროპის საბჭოს** (Council of Europe) მიერ. ასევე, ზოგიერთი, მხარს უჭერს ეროვნული დევნის წარმოებას, რომელსაც განახორციელებს თავად უკრაინა ან ის სახელმწიფოები, რომლებსაც აგრესიის დანაშაულზე უნივერსალური იურისდიქცია აქვთ.

წინამდებარე სტატიაში, წარმოდგენილია უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით რუსეთის სახელმწიფოს ლიდერების პასუხისმგებლობის სხვადასხვა შესაძლებლობის კრიტიკული ანალიზი. აღნიშნული სტატია დაყოფილია სამ ნაწილად. პირველი ნაწილი ხსნის, რატომ არღვევს რუსეთის შეჭრა უკრაინაში ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 2.(4) მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს აგრესიის დანაშაულებრივ ქმედებას საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ან რომის სტატუსის მიხედვით. მოცემული სტატია ასევე მოკლედ მიმოიხილავს საკითხს, წარმოადგენს თუ არა ბელარუსის მიერ რუსეთისთვის დახმარების გაწევა ცალკე დანაშაულებრივ ქმედებას. სტატიის მეორე და ძირითად ნაწილში, შეფასებულია ჩადენილ აგრესიაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისგებაში მიცემის სამი, პოტენციური საერთაშორისო სამართლებრივი შესაძლებლობა. ამ კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა **იმუნიტეტისა და შერჩევითობის საკითხებს**. სტატიის მესამე ნაწილი მიმოიხილულია ხსენებულ დანაშაულზე შიდა სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლებლობა როგორც უკრაინაში, ასევე რომელიმე სხვა ქვეყანაში.

რუსეთის შეჭრის დანაშაულებრიობა

რუსეთის უკრაინაში შეჭრის, როგორც აგრესიის დანაშაულის კვალიფიკაცია, უკავშირდება 2 ძირითად საკითხს: მოიცავს თუ არა ქმედება ძალის იმგვარ გამოყენებას, რომელიც არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 2(4) მუხლს და შესაძლოა თუ არა, ძალის გამოყენებამ გამოიწვიოს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ძალის გამოყენება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 2(4) მუხლის თანახმად, „გაერთიანებული ორგანიზაციის წევრებმა საერთაშორისო ურთიერთობებში თავი უნდა შეიკავონ მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური

დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან სხვა რაიმე გზით, რომელიც არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს.“ ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის დავდასხმა უკრაინაზე, პირველ რიგში, არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 2(4) მუხლს. როგორც **გრინი** აღნიშნავს „როდესაც შემოწმება ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ აგრესიის განმარტების არაამომწურავი ჩამონათვალის „აგრესიის ქმედებები“ მიხედვით, ოპერაცია მეტნაკლებად აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს – შეჭრა, ოკუპაცია, დაბომბვა, ბლოკადა და სხვა.² ეს დასკვნა დამოუკიდებელია რუსეთის მტკიცებისგან, რომ მისი ძალის გამოყენება არის „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ და არა შეჭრა. ძალის გამოყენების სამართლებრივი განმარტება განისაზღვრება ფაქტებით და არა იმ სახელმწიფოების სუბიექტური შეხედულებებით, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტში არიან ჩართულნი.

როგორც პირველი მოქმედების განმარტებელი, რუსეთს ეკისრება სამართლებრივი მტკიცების ტვირთი, რომ წარმოადგინოს გამამართლებელი არგუმენტაცია უკრაინის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ.³ შემოთავაზებულია სამი პოტენციური გამამართლებელი არგუმენტი, რომლებიც დამაჯერებელი არაა. პირველი არის თავდაცვა. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთმა გაუგზავნა წერილი გაეროს უშიშროების საბჭოს, რომელშიც იტყობინებოდა, რომ იგი იყენებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 51-ე მუხლით გათვალისწინებულ თავდაცვის უფლებას. წერილი იმეორებდა პუტინის **ცნობილ** გამოსვლას, რომლითაც მან, უკრაინაში შეჭრის წინა დღეს, რუსეთის მოსახლეობის მიმართა და რომელშიც იგი აცხადებდა, რომ „მათი ქმედება არის თავდაცვა რუსეთის წინაშე არსებული საფრთხისგან“.⁴

აღნიშნული არგუმენტი არადაამაჯერებელია აშკარა მიზეზის გამო: უკრაინას არ დაუწყია შეიარაღებული თავდასხმა რუსეთზე შეჭრამდე და არც ეს შეიარაღებული თავდასხმა არ იყო გარდაუვალი. პუტინი თავის გამოსვლაში იგივეს ამტკიცებდა. მან შექმნა შეთქმულების თეორია, რომლის თანახმადაც, უკრაინა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან (NATO) ერთად, გეგმავდა სამხედრო თვალსაზრისით ისე გაძლიერებას, რომ თავს დასწმოდა რუსეთს.⁵

პუტინის განცხადებას არ ჰქონდა არავითარი ფაქტობრივი საფუძველი. თუმცა, მსგავსი შეთქმულების თეორია რომც არსებულყო, რუსეთის შეჭრა უკრაინაში კვლავ არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 2(4) მუხლს. „თავდაცვა გარდაუვალი თავდასხმის დროს თითქმის გამართლებულია, როცა ტანკები აპირებენ გადაკვეთონ საზღვარი ან საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტა ხურდება.“⁶ საპირისპიროდ, ქვეყნებს შორის

2 James A. Green et al., “Russia’s attack on Ukraine and the jus ad bellum,” *Journal on the Use of Force and International Law* 9, no. 1 (2022): 6.

3 საქმე ნავთობის პლატფორმებთან დაკავშირებით (ირანის ისლამური რესპუბლიკა/აშშ), გადაწყვეტილება, 2003 ICJ Rep. 191 (6 ნოემბერი), ¶ 51

4 2022 წლის 24 თებერვლის წერილი, რუსეთის ფედერაციის მუდმივმოქმედი წარმომადგენლისგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. https://article51un.blogspot.com/2022/03/letter-dated-24-february-2022-from_5.html.

5 იქვე.

6 გრინი და სხვები, “რუსეთის თავდასხმა უკრაინაზე,” 10.

მხარდაჭერა, თავდაცვის უფლების გამოყენებისთვის გარდაუვალი თავდასხმის წინააღმდეგ, რაც ხშირად მოხსენიებულია როგორც პრევენციული თავდაცვა წარმოადგენს „ვირტუალურად არარსებულს“.⁷ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი, რომელიც ადასტურებს პრევენციული თავდაცვის კანონიერებას თავის 2002 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში⁸, გააკეთა განცხადება, რომელიც მიუთითებს, რომ თავდაცვა შეზღუდულია იმ ფარგლებით, როცა შეიარაღებული თავდასხმა არის გარდაუვალი.⁹

რუსეთის მეორე არგუმენტი უკრაინაში შეჭრის გასამართლებლად იყო დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა (DPR) და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის (LPR) კოლექტიური თავდაცვა. როგორც პუტინმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: „რადგან დონბასის სახალხო რესპუბლიკამ მომართა რუსეთს დახმარებისთვის.. გადავწყვიტე, რუსეთის ფედერაციის საბჭოს თანხმობით, განვახორციელო სპეციალური სამხედრო ოპერაცია დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა (DPR) და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკასთან (LPR) მეგობრობის და საერთო დახმარების ხელშეკრულების შესაბამისად“.

კოლექტიური თავდაცვა დაშვებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 51-ე მუხლით, თუ სახელმწიფო იყენებს მის ინდივიდუალურ თავდაცვის უფლებას და ამ მიზნით, სხვა სახელმწიფოებს სთხოვს დახმარებას.¹⁰ თუმცა, რუსეთის არგუმენტებში არის ორი ფატალური ხარვეზი. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ მხოლოდ სახელმწიფოებს აქვთ უფლება თავდაცვაზე, ინდივიდუალური ან კოლექტიური. დონეცკის სახალხო რესპუბლიკა (DPR) და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა (LPR) არ აკმაყოფილებენ მონტევიდეოს კონვენციით დადგენილ სახელმწიფოებრიობის სამართლებრივ მოთხოვნებს, განსაკუთრებით კი იმ მოთხოვნას, რომ მთავრობა უნდა იყოს დამოუკიდებელი სხვა სახელმწიფოებისგან.¹¹ რუსეთის მიერ DPR-ის და LPR-ის სახელმწიფოებად ნაადრევი აღიარება, თავისთავად საერთაშორისო სამართლის დარღვევაა,¹² როგორც ეს მიუთითა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის ES-11/1 რეზოლუციაში.¹³

მეორე ხარვეზი რუსეთის არგუმენტში არის ის, რომ DPR და LPR რომც ყოფილიყვნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, უკრაინა არც მათ დასხმია თავს ან არ იდგნენ ასეთი გარდაუვალი თავდასხმის წინაშე რუსეთის შეჭრამდე. ასეთი გარდაუვალი თავდასხმის გარეშე, DPR და LPR არ ჰქონდათ საფუძველი, გამოეყენებინათ ინდივიდუალური თავდაცვის უფლება უკრაინის წინააღმდეგ. შესაბამისად, არც რუსეთისთვის შეეძლოთ დახმარების თხოვნა თავდაცვის უფლების გამოყენების თაობაზე.

7 Tom Ruys, “Armed Attack” and Art. 51 of the UN Charter (Cambridge: Cambridge University Press, 2010), 336.

8 ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, 22 სექტემბერი, სამოტივაციო წერილი, § 5, <https://2009-2017.state.gov/documents/organization/63562.pdf>.

9 Ruys, Armed Attack, 338.

10 ბირთვული იარაღის საფრთხის ან მისი გამოყენების კანონიერება, საკონსულტაციო დასკვნა, 1996 წ. ICJ Rep. 226 (8 ივლისი), ¶ 199.

11 Julia Miklasova, “Russia’s Recognition of the DPR and LPR as Illegal Acts Under International Law,” *Völkerrechtsblog*, 24 February 2022, <https://voelkerrechtsblog.org/russias-recognition-of-the-dpr-and-lpr-as-illegal-acts-under-international-law/>.

12 იქვე.

13 UNGA Res ES-11/1, UN Doc A/RES/ES-11/1, 2 მარტი 2022, ¶¶ 5, 6.

რუსეთის შეჭრის ბოლო გამამართლებელი არგუმენტი იყო ის, რომ მას მოუწია გამოეყენებინა ძალა რათა შეეჩერებინა უკრაინაში მიმდინარე გენოციდი ეთნიკური რუსების წინააღმდეგ, რომლებიც აღმოსავლეთ უკრაინაში ცხოვრობდნენ. პუტინი ამტკიცებდა, რომ „ჩვენ მოგვიწია შეგვეჩერებინა სისასტიკე, გენოციდი მილიონობით ადამიანის, რომლებიც ცხოვრობენ იქ და იმედს ამყარებდნენ რუსეთზე, ყველა ჩვენგანზე.. ამ ოპერაციის მიზანია, დავიცვათ ხალხი, რომლებიც რვა წლის განმავლობაში არიან დამცირებისა და გენოციდის რისკის წინაშე კიევის რეჟიმის მხრიდან“ უფრო მარტივად, რუსეთი აპელირებდა ცალმხრივი ჰუმანიტარული ინტერვენციის (UHI) უფლებაზე – უფლებაზე, გამოიყენო ძალა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე იმისთვის, რომ დაიცვა სახელმწიფოს მოქალაქეები ზიანისგან.¹⁴

ხსენებული ორი არგუმენტის მსგავსად, ამ არგუმენტსაც არ აქვს ფაქტობრივი საფუძველი. თუმცა, ასეთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი, ცალმხრივი ჰუმანიტარული ინტერვენცია (UHI) არ არის კანონიერი გამონაკლისი ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპისგან. წარსულში, მხოლოდ სამ სახელმწიფოს აქვს მხარდაჭერა გამოცხადებული ერთიანი ჰუმანიტარულ ინტერვენციისთვის (UHI): დიდი ბრიტანეთი, ბელგია და დანია.¹⁵ საპირისპიროდ, 130-ზე მეტი სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ეს იყო უკანონო, მათ შორის მთელი უკავშირო მოძრაობა (Non-Aligned Movement), G-77 და ისლამური კონფერენცია.¹⁶ თავად რუსეთი მუდმივად გმობს ცალმხრივი ჰუმანიტარულ ინტერვენციას (UHI) ნატოს ინტერვენციის კონტექსტში კოსოვოში და მას უწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის „უხემ დარღვევას“ – მაგალითად, სირიაში განხორციელებული დასავლური ინტერვენციის საპასუხოდ.¹⁷

ეპრესიის დანაშაული

შემდეგი კითხვა უკავშირდება იმ გარემობას, თუ რამდენად შესაძლებელია, რუსეთის უკანონო შეჭრა უკრაინაში, დაკვალიფიცირდეს აგრესიის დანაშაულად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აგრესიის დანაშაული რომის სტატუტში უფრო ფართო შინაარსისაა, ვიდრე საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში¹⁸, ვინაიდან, სულ მცირე, ზოგიერთმა სასამართლომ მიუთითა, რომ შესაძლოა, ჩვეულება იყოს გამოსაყენებელი სამართალი და არა რომის სტატუტი.

14 Kevin Jon Heller, “The Illegality of ‘Genuine’ Unilateral Humanitarian Intervention,” *European Journal of International Law* 32, no. 2 (2021): 614.

15 იქვე., 625-6

16 იქვე

17 იქვე., 626-7

18 Carrie McDougall, *The Crime of Aggression Under the Rome Statute of the International Criminal Court* (Cambridge: Cambridge University Press, 2013), 154.

რომის სტატუტის განმარტება ცალსახაა: აგრესიის დანაშაულებრივი ქმედება არის „აგრესიის აქტი, რომელიც თავისი ხასიათით, სიმძიმითა და მასშტაბით წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აშკარა დარღვევას,¹⁹ იმასთან ერთად, რომ „აგრესიის აქტი“ განმარტებული როგორც ნებისმიერი აქტი, რომელიც არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 2 (4) მუხლს.“²⁰ ჩვეულებითი სამართლის განმარტება უფრო ვიწროა, თუმცა მისი ზუსტი საზღვრები (კონტურები) სადაოა. კრესის თანახმად, შესაძლო დეფინიცია მოიცავს აქტს, რომელიც მიზნად ისახავს ტერიტორიის ანექსიას ან მსხვერპლი სახელმწიფოს დამორჩილებას; მოქმედება რომელიც მიზნად ისახავს ტერიტორიის შექმნას, შესაბამისი აქტივების, მსხვერპლი სახელმწიფოს მთავრობის ან საგარეო პოლიტიკის ცვლილებას; მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მსხვერპლი სახელმწიფოს სტატუს-კვოს ცვლილებას მის სამხედრო, სამთავრობო ან ეკონომიკურ ინსტიტუტებზე თავდასხმით, ან ქმედება რომელიც მიზნად ისახავს, მოახდინოს მსხვერპლი სახელმწიფოს სამხედრო ოკუპაცია.²¹ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მხოლოდ ის ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს აგრესიად, რაც, ტრადიციულად, „აგრესიული ომად“ იწოდებოდა.²²

რუსეთის შეჭრა უკრაინაში უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც აგრესიის დანაშაულებრივი ქმედება ნებისმიერი განმარტებით. ჩვეულების თვალსაზრისით, შეჭრა დააკმაყოფილებს ყველა ზემოაღნიშნულ განმარტებას. რომის სტატუტის თვალსაზრისით და იმის გათვალისწინებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 2(4) მუხლის ნებისმიერი დარღვევა კვალიფიცირდება როგორც აგრესიული აქტი, ერთადერთი კითხვა რომელიც შეიძლება წარმოშვას, უკავშირდება იმას, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრა, თავისი ხასიათით, სიმძიმით და მასშტაბით, რამდენად წარმოადგენს 2(4) მუხლის „აშკარა“ დარღვევას. თუმცა, აშკარა დარღვევის ტესტი ბუნდოვანია – გამოთქმა „შენ ეს იცი, როდესაც ხედავ“ ხშირად იყო მოხმობილი 2010 წლის კონფერენციაზე კამპალაში- შეჭრა აშკარად აკმაყოფილებს სამ ფაქტორს: ეს ცალსახად უკანონო იყო გაეროს ქარტიის მიხედვით, ის იყო გაეროს წესდების განსაკუთრებით მძიმე დარღვევა, რადგან მიზნად ისახავდა ტერიტორიების შექმნას და რეჟიმის ცვლილებას (Gravity) და იგი მოიცავდა მასიური ძალის გამოყენებას როგორც ჯარისკაცების რაოდენობით, ასევე გამოყენებული იარაღის საფუძველზე (scale).

19 რომის სტატუტი, 8bis(1) მუხლი

20 იქვე., 8bis(2) მუხლი

21 Claus Kress, “Time for Decision: Some Thoughts on the Immediate Future of the Crime of Aggression: A Reply to Andreas Paulus,” *European Journal of International Law* 20, no. 4 (2010): 1139.

22 McDougall, *Crime of Aggression*, 139.

ბელარუსი

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრო, შესაძლოა, უკრაინაში შეჭრისას, ბელარუსის მიერ რუსეთისთვის დახმარების გაწევა, ასევე აგრესიის დანაშაულს ნიშნავდეს.²³ ბელარუსმა, არამხოლოდ ნება დართო რუსეთის ფედერაციას თავისი აეროპორტიდან თვითმფრინავები გაეშვა, არამედ გამოეყენებინა თავისი ტერიტორია უკრაინაში ჯარისკაცებისა და რაკეტების გასაშვებად.²⁴

ექვგარეშეა, ეს არის აგრესიული ქმედებები. გენერალური ასამბლეის 3314 რეზოლუციის 3(f) მუხლის თანახმად, აგრესია არის „სახელმწიფოს ქმედება, რომელიც საშუალებას აძლევს სხვა სახელმწიფოს, რომელსაც განკარგულებაში თავისი ტერიტორია გადასცა, გამოიყენოს აღნიშნული ტერიტორია აგრესიის ქმედების ჩასადენად მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ.“²⁵ სწორედ ეს გააკეთა ბელარუსმა.

არის თუ არა ბელარუსი უშუალოდ პასუხისმგებელი აგრესიის კრიმინალურ აქტზე უფრო რთული დასადგენია. არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ბელარუსმა თავად გამოიყენა შეიარაღებული ძალა უკრაინის წინააღმდეგ, რაც ნიშნავს, რომ მისი ქმედებები არ აკმაყოფილებს ზემოთ განხილულ არცერთ ჩვეულებითსამართლებრივ განმარტებას. თუმცა, აგრესიის ჩვეულებითი დანაშაული არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის წინააღმდეგ ძალის პირდაპირი გამოყენებით. პირიქით, კერი მაკდუგალი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი ასევე მიიჩნევს დანაშაულად „ომს, რომელიც გამოცხადებულია მესამე მხარის აგრესიული ომის მხარდასაჭერად.“²⁶ როგორც იგი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ „საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის (IMT) მიერ გერმანიის ქცევის განხილვას შეერთებული შტატების მიმართ არ არის საკმარისად დამტკიცებული, რომ გერმანიის ქმედებები „აგრესიულ ომს წარმოადგენდა“, ტრიბუნალმა მაინც მიუთითა, რომ ზოგიერთ ბრალდებულს ეკისრებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა აგრესიული ომის დაგეგმვასა და წარმოებაზე. მაკდუგალი აღნიშნავს, რომ აღნიშნულ დასკვნას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულთა დანაშაული ეფუძნებოდა გერმანიის მხრიდან იაპონიის წახალისებას, რათა ამ უკანასკნელს განხორციელებინა თავდასხმა შეერთებულ შტატებზე და დაპირებას, რომ მხარს დაუჭერდა იაპონიას, თუ იგი ამას გააკეთებდა.“²⁷ მაკდუგალი თუ მართალია, „მესამე მხარის აგრესიული ომის მხარდასაჭერად გამოცხადებული ომი“ არის დანაშაული საერთაშორისო ჩვეულებითი

23 იხილეთ, მაგალითად: Aleksander Pocij, “The Russian Federation’s Aggression Against Ukraine: Ensuring Accountability for Serious Violations of International Humanitarian Law and Other International Crimes,” Report of the Parliamentary Assembly of the Council of Europe, 26 April 2022, 14.

24 იხილეთ, მაგალითად: Becky Sullivan, “Why Belarus is so Involved in Russia’s Invasion of Ukraine,” NPR, 11 March 2022, <https://www.npr.org/2022/03/11/1085548867/belarus-ukraine-russia-invasion-lukashenko-putin>.

25 გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, UNGA Res 3314 (XXIX), UN Doc A/RES/3314, 14 December 1974, Art. 3(f).

26 Carrie McDougall, “TheCrimesAgainstPeacePrecedent,” in *TheCrimeofAggression: A Commentary*, 2 Vols., eds. Claus Kress and Stefan Barriga (Cambridge: Cambridge University Press, 2016), 1: 69.

27 იქვე., 68.

სამართლის მიხედვით. შესაბამისად, ბელარუსის მხარდაჭერა უკრაინაში რუსეთის შეჭრის მიმართ დანაშაულებრივი აქტია.

იმის გათვალისწინებით, რომ რომის სტატუტი, აგრესიის აქტად მიიჩნევს 3314 რეზოლუციის ნებისმიერ, მათ შორის 3(ვ) მუხლის დარღვევას – ბელარუსის პასუხისმგებლობა აგრესიის სისხლის სამართლებრივ აქტზე დამოკიდებულია იმაზე, იყო თუ არა მისი მხარდაჭერა რუსეთისადმი გაეროს ქარტიის 2(4) მუხლის „აშკარა დარღვევა“. როგორც ჩანს, ძალიან სავარაუდოა, რომ ნებისმიერი სასამართლო, რომელიც გამოიყენებს რომის სტატუტს, სწორედ ამგვარ დასკვნამდე მივა; ბოლოს და ბოლოს, ბელარუსმა შეგნებულად დაუჭირა მხარი „ცალსახად უკანონო“ შეჭრას (ხასიათი), რომელიც შედეგად მიზნად ისახავდა – ტერიტორიის ხელში ჩაგდებას და რეჟიმის შეცვლას – რაც არაერთხელ დაგმო საერთაშორისო საზოგადოებამ, როგორც განსაკუთრებით სერიოზული (სიმძიმე). ერთადერთი საკითხია, იყო თუ არა ბელარუსის ქმედებები საკმარისი მასშტაბის იმისთვის, რომ დაკვალიფიცირდეს 2(4) მუხლის აშკარა დარღვევად. იმის გათვალისწინებით, რომ „მასშტაბის“ ფაქტორი შექმნილია იმისათვის, რომ გამორიცხოს „de minimis“ ძალის გამოყენება აგრესიის დანაშაულისგან, როგორცაა სასაზღვრო შეტაკებები და ინდივიდუალური სარაკეტო დარტყმები,²⁸ ისინი ალბათ იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, სამი ფაქტორიდან ორი შეიძლება იყოს საკმარისი, რათა დადგინდეს აშკარა დარღვევის ფაქტი.²⁹

საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი დევნა

ეს ნაწილი განიხილავს სამ პოტენციურ შესაძლებლობას, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებულ აგრესიაზე პასუხისმგებელი პირების სისხლისსამართლებრივი დევნისთვის: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ICC; სპეციალური ტრიბუნალი, რომელიც შექმნილია სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ ან გაეროსა და უკრაინას შორის შეთანხმებით; ჰიბრიდული ტრიბუნალი, რომელიც დაფუძნებულია უკრაინის სასამართლო სისტემაში და მხარდაჭერილია ევროპის საბჭოს მიერ.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC)

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (შემდგომში ICC) რუსული აგრესიის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ყველაზე პრაქტიკული

28 იხილეთ Claus Kress, "The State Conduct Element," in Kress and Barriga, *The Crime of Aggression*, 2: 513–14.

29 McDougall, *Crime of Aggression*, 129.

გამოსავალი იქნება. პროკურორის ოფისმა (OTP) უკვე ჩადო მნიშვნელოვანი რესურსი – ყველაზე მეტი მისი არსებობის ისტორიაში – უკრაინაში ჩადენილი სხვა საერთაშორისო დანაშაულების გამოსაძიებლად. შესაბამისად, არსებული გამოძიების გაფართოება, აგრესიის დანაშაულის ჩათვლით, გამოიწვევს მასშტაბის ეკონომიას და საერთაშორისო საზოგადოებას დაუზოგავს დროს და ძალისხმევას, რაც საჭიროა ახალი სასამართლოს შესაქმნელად. თუმცა, ICC-ს სისხლისსამართლებრივი დევნის ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი სიმბოლური იქნება: შერჩევითი მართლმსაჯულების გამოვლენის თავიდან აცილება. როგორც შემდგომში უფრო დეტალურადაა განხილული, სასამართლო, რომელიც შექმნილია მხოლოდ რუსული აგრესიის სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით, სავარაუდოდ, არალეგიტიმურად განიხილება სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილის, განსაკუთრებით გლობალური სამხრეთის ქვეყნების მიერ, რომლებიც რეგულარულად ექვემდებარებიან ძალის უკანონო გამოყენებას ჩრდილოეთის ძლიერი სახელმწიფოების მხრიდან. ICC-ს სისხლისსამართლებრივი დევნა მთლიანად ვერ გადაჭრის სელექციურობის პრობლემას – სასამართლოს პრეტენზიები უნივერსალურობის შესახებ უფრომისწრაფებაა, ვიდრე რეალობა – თუმცა, ყოველ შემთხვევაში, იარსებებს მომავალი აგრესიის დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის *de jure* შესაძლებლობა. მხოლოდ ეს შესაძლებლობა დაეხმარება რუსეთის აგრესიის სისხლისსამართლებრივი დევნის ლეგიტიმურად აღქმას.

თუმცა, პრობლემა ისაა, რომ უშიშროების საბჭოს მიმართვის არარსებობის შემთხვევაში, რომელსაც რუსეთი აუცილებლად დაადებს ვეტოს,³⁰ ICC-ს არ აქვს იურისდიქცია რუსეთის აგრესიაზე უკრაინის წინააღმდეგ. დიდწილად, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ძალისხმევის შედეგად,³¹ აგრესიის დანაშაული ექვემდებარება განსხვავებულ იურისდიქციულ რეჟიმს, ვიდრე სხვა საერთაშორისო დანაშაულები: მაშინ როდესაც, სასამართლოს აქვს იურისდიქცია ომის დანაშაულებებზე, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე და გენოციდზე, როდესაც იგი ჩადენილია არაწევრი სახელმწიფოს მიერ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ან იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელმაც დაადასტურა სასამართლოს იურისდიქცია *ad hoc* საფუძველზე, როგორცაა უკრაინა), არაწევრი სახელმწიფოები მთლიანად გამორიცხული არიან აგრესიის დანაშაულისგან.³² რუსეთმა არ მოახდინა რომის სტატუტის რატიფიცირება, ამიტომ აგრესიასთან დაკავშირებული ცვლილებები მასზე არ ვრცელდება.³³

თეორიულად, სახელმწიფოებს შეუძლიათ, ICC-ს მიანიჭონ იურისდიქცია რუსეთის აგრესიაზე იმ დებულების ამოღებით, რომელიც გამორიცხავს არა წევრ სახელმწიფოებს,

30 ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ცოტახნის წინ მოუწოდა გენერალურ ასამბლეას „მოითხოვოს საკონსულტაციო აზრი ICI-ისგან გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ვეტოს უფლებების შესაძლო შეზღუდვის შესახებ“ რეზ. 2436 (2022) (წინასწარი ვერსია), 12.5.2, <https://pace.coe.int/pdf/0417ea5a365f41824709ff552526cafc71864ae-0fc169d8a890d751b53efdec1/resolution%202436.pdf>. მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ ნებისმიერი ასეთი საკონსულტაციო დასკვნა არ იქნება სავალდებულო, ICI-ს საზღვრების მკაცრი დადასტურებაც კი არ იმოქმედებს რუსეთის უნარზე დაადოს ვეტო უკრაინის ნებისმიერ მცდელობას მიმართოს უკრაინის წინააღმდეგ აგრესია ICC-ს საყურადღებოდ.

31 Oona A. Hathaway, “A Crime in Search of a Court: How to Hold Russia Accountable,” *Foreign Affairs*, 19 May 2022, <https://www.foreignaffairs.com/articles/ukraine/2022-05-19/crime-search-court>.

32 იხილეთ რომის სტატუტი, მუხლი 15bis(5).

33 Carrie McDougall, “Why Creating a Special Tribunal for Aggression Against Ukraine is the Best Available Option: A Reply to Kevin Jon Heller and Other Critics,” *Opinio Juris*, 15 March 2022, <https://opiniojuris.org/2022/03/15/why-creating-a-special-tribunal-for-aggression-against-ukraine-is-the-best-available-option-a-reply-to-kevin-jon-heller-and-other-critics/>.

მუხლის 15bis(5), რომის სტატუტიდან. თუმცა, ასეთი ცვლილებების პრაქტიკული ალბათობა ფაქტობრივად ნულის ტოლია. რომის სტატუტის შესწორებები, რომლებიც არ მოიცავს მე-5–8 მუხლებს, რეგულირდება 121(4) მუხლით, რომელიც ითვალისწინებს, რომ „შესწორება ძალაში შევა ყველა მონაწილე სახელმწიფოსთვის ერთი წლის შემდეგ, როდესაც რატიფიკაციის ან მიღების ინსტრუმენტები გაეროს გენერალურ მდივანთან იქნება დეპონირებული მონაწილეთა 7/8-ის მიერ.“ ეს ეწინააღმდეგება რწმენას ვიფიქროთ, რომ 107 სახელმწიფო წევრი მიიღებს სასამართლოს იურისდიქციის ასეთ ფუნდამენტურ გადასინჯვას აგრესიის დანაშაულთან მიმართებით. მითუფრო, როცა მხოლოდ 41-მა სახელმწიფომ, ანუ სახელმწიფოთა 1/3-მა მოახდინა ამ შესწორებების რატიფიცირება მიღებიდან 12 წლის მანძილზე.

იგივე მოცემულობა აზიანებს იდეას, რომელიც 1990-იან წლებში საერთაშორისო სასამართლის კომისიის (ILC) მიერ დაფიქსირდა,³⁴ კერძოდ „რომის სტატუტი შეიძლება შეიცვალოს, რათა გენერალურ ასამბლეას, რომელიც მოქმედებს „გაერთიანება მშვიდობისთვის“ რეზოლუციის მიხედვით, ჰქონდეს საშუალება, მიმართოს ICC-ს, რათა უზრუნველყოს ანგარიშვალდებულება აგრესიის დანაშაულზე უკრაინის კონტექსტში.“³⁵ რადგან ასეთი შესწორება საჭიროებს მე-13 და სავარაუდოდ მე-15 მუხლების შეცვლას,³⁶ იგი ასევე დარეგულირდება 121(4) მუხლის მიხედვით და მოითხოვს რატიფიცირებას მონაწილე სახელმწიფოების 7/8-ის მიერ. ასეთი მხარდაჭერა საგამონაკლისოდ ნაკლებად სავარაუდოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ გენერალური ასამბლეის მიმართვის დაშვება, გაზრდის სასამართლოს იურისდიქციას აგრესიის დანაშაულებზე და შეამცირებს შესაძლებლობას იურისდიქციიდან გამოირიცხონ არაწევრი სახელმწიფოები. მოცემული ცვლილება, შესაძლებელს გახდის, სასამართლომ აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა აგრესიის ნებისმიერ აქტზე, რომელიც ჩადენილია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მაშინ როცა არაწევრი სახელმწიფოების ჩართვა სასამართლოს იურისდიქციაში, მაინც გამორიცხავს არაწევრი სახელმწიფოს მიერ სხვა არაწევრი სახელმწიფოს მიმართ ჩადენილ აგრესიულ ქმედებებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინაც კი, თუ მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ სურვილი შეცვალონ რომის სტატუტი გენერალური ასამბლეის მიმართვის დასაშვებად, ასეთი მიმართვის კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. იმის გამო, რომ ICC არის ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სასამართლო, მისი იურისდიქცია არ შეიძლება აღემატებოდეს წევრი სახელმწიფოების მიერ მისთვის დელეგირებულ იურისდიქციას.³⁷ სახელმწიფოებს შეეძლოთ სასამართლოსთვის მიენიჭებინათ იურისდიქცია აგრესიის დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლებიც ჩადენილ იქნა არაწევრ სახელმწიფოთა მიერ, მონაწილე სახელმწიფოების

34 Shane Darcy, “Aggression by P5 Security Council Members: Time for ICC Referrals by the General Assembly,” *Just Security*, 16 March 2022, <https://www.justsecurity.org/80686/aggression-by-p5-security-council-members-time-for-icc-referrals-by-the-general-assembly/> (აღნიშნავს, რომ ათზე მეტმა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა გენერალურ ასამბლეას უფლებამოსილების მინიჭებას, რათა გადასცეს სიტუაციები ICC-ს). გასაკვირი არ არის, რომ თითქმის ყველა ეს სახელმწიფო გლობალურ სამხრეთშია.

35 იქვე.

36 იქვე.

37 იხილეთ Hans Peter Kaul and Claus Kress, “Jurisdiction and Cooperation in the Statute of the International Criminal Court: Principles and Compromises,” *Yearbook of International Humanitarian Law* 2 (1999): 145 (noting that the Rome Statute is based on “the very simple idea that states must be entitled to do collectively what they have the power to do individually”). (აღნიშნავს, რომ რომის სტატუტი ეფუძნება „ძალიან მარტივ იდეას, რომ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ უფლება გააკეთონ ერთობლივად ის, რაზეც მათ აქვთ უფლება გააკეთონ ინდივიდუალურად“).

ტერიტორიაზე ან სახელმწიფოებში, რომლებმაც დაადასტურეს სასამართლოს იურისდიქცია ad hoc საფუძველზე. თუმცა, სახელმწიფოებმა ეს არ გააკეთეს. შედეგად, სასამართლოს არ შეუძლია განხორციელოს აგრესიის ქმედებაზე იურისდიქცია არაწევრ სახელმწიფოზე ამ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე – *pacta tertiis nec nocent nec prosunt*. ეს შეზღუდვა არ იმოქმედებს უშიშროების საბჭოს მიმართვაზე, რადგან სახელმწიფოები კონსტრუქციულად თანხმდებიან უშიშროების საბჭოს VII თავის იძულებით უფლებამოსილებაზე, რომელიც მოიცავს სახელმწიფოების სასამართლოში გადაცემის უფლებას, როდესაც ისინი მოახდენენ გაეროს წესდების რატიფიკაციას.³⁸ თუმცა, იგი კრძალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმართვას, რადგან ასეთი მიმართვები იძულებითი აქტებია³⁹ და გენერალურ ასამბლეს არ აქვს იძულებითი უფლებამოსილება.⁴⁰ ამდენად, შეუძლებელია ითქვას, რომ სახელმწიფოები კონსტრუქციულად დათანხმდნენ გენერალური ასამბლეის მიმართვის კომპეტენციას, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის რატიფიცირება განხორციელეს.

სპეციალური ტრიბუნალი

მოწოდებები საერთაშორისო მექანიზმის სასარგებლოდ, რომელსაც შეუძლია რუსეთის ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნა, ძირითადად, მიმართულია მესამე შესაძლებლობაზე: ახალი ტრიბუნალის შექმნაზე, რომლის იურისდიქცია შემოიფარგლება რუსეთის უკრაინაში შეჭრის ფაქტით – „სპეციალური ტრიბუნალი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის დანაშაულის დასჯისთვის“, რაც აღნიშნულია 2022 წლის მარტში გამოცემული ერთობლივ განცხადებასა და დეკლარაციაში (CSD), რომელსაც ხელს აწერს 40-ზე მეტი სამართლის სპეციალისტი და პოლიტიკური მოღვაწე.⁴¹ ასეთი სპეციალური ტრიბუნალი შეიძლება შეიქმნას ორი განსხვავებული გზით: (1) ხელშეკრულების დადებით დაინტერესებული სახელმწიფოების ჯგუფის მიერ; ან (2) შეთანხმებით გაეროსა და უკრაინას შორის, რომელსაც გენერალური ასამბლეა დაამტკიცებს.

სახელმწიფოთა ჯგუფი

ერთობლივი განცხადებისა და დეკლარაციის შესრულების პირველი გზა იყო გადაწყვეტილება, დაარსდეს „სპეციალური საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი... რათა ჩატარდეს გამოძიება და გასამართლდნენ პირები, რომლებმაც ჩაიდინეს

38 Cf. Alexandre Skaland Galand, UN Security Council Referrals to the International Criminal Court (Leiden: Brill Open Access, 2019), 162.

39 იხილეთ McDougall, "Why."

40 იხილეთ გაეროს ქარტია, მუხლები 10-14.

41 "Combined Statement and Declaration Calling for the Creation of a Special Tribunal for the Punishment of the Crime of Aggression Against Ukraine," Website of Gordon & Sarah Brown, March 2002, <https://gordonandsarahbrown.com/wp-content/uploads/2022/03/Combined-Statement-and-Declaration.pdf>.

აგრესიის დანაშაული უკრაინის ტერიტორიასთან მიმართებით.⁴² ამ მოწოდებას მხარი დაუჭირა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის მომხსენებელმა, რომელიც ამტკიცებს, რომ „ამჟამინდელი აგრესიის მასშტაბისა და კონფლიქტის საერთაშორისო განზომილების გათვალისწინებით... საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ შეიქმნას სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალი აგრესიის დანაშაულის დასჯისთვის... მრავალმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე“⁴³

თუმცა, ერთობლივი განცხადება და დეკლარაცია ბუნდოვანია სპეციალური ტრიბუნალის იურისდიქციულ საფუძვლებთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია მხოლოდ ის, რომ „ქვეყნები უნდა შეთანხმდნენ, მინიჭონ [მას] იურისდიქცია, რომელიც წარმოიქმნება ეროვნული სისხლის სამართლის კოდექსებისა და ზოგადი საერთაშორისო სამართლის მიხედვით“⁴⁴ თუმცა, ასეთი დელეგირება არ იქნებოდა საჭირო იმის გამო, რომ უკრაინამ უკვე გამოთქვა მონაწილეობის სურვილი.⁴⁵ ამგვარად, სპეციალური ტრიბუნალის იურისდიქცია დაფუძნებოდა უკრაინის ტერიტორიულ იურისდიქციას რუსეთის აგრესიულ აქტებზე.

მიუხედავად იმისა, რომ იურისდიქცია არაპრობლემურია, სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ შექმნილი სპეციალური ტრიბუნალი გვაფიქრებს ორ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელთაგან ერთი სამართლებრივია, ხოლო მეორე – პრაქტიკული.

იმუნიტეტი. სამართლებრივი საკითხია, არის თუ არა ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ტრიბუნალი უფლებამოსილი გააუქმოს რუსეთის ოფიციალური პირების პირადი და ფუნქციონალური იმუნიტეტი.

პირადი იმუნიტეტი. საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ (შემდგომში ICJ) დაკავების ორდერის (Arrest Warrant) საქმეში დაადგინა, რომ „სახელმწიფოში მაღალი თანამდებობის პირები, როგორებიც არიან სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი, სარგებლობენ იმუნიტეტებით სხვა სახელმწიფოების იურისდიქციისგან, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლისსამართლებრივ დანაშაულებზე“⁴⁶ ხელშეკრულებაზე დაფუძნებულ სპეციალურ ტრიბუნალს თუ მოუწევს პიროვნული იმუნიტეტის აღიარება, იგი ვერც პუტინის (რუსეთის პრეზიდენტი) და სერგეი ლავროვის (საგარეო საქმეთა მინისტრი) სისხლისსამართლებრივ დევნას ვერ შეძლებს.

ერთობლივი განცხადება და დეკლარაცია უცნაურად დუმს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა სპეციალური ტრიბუნალი პირადი იმუნიტეტის გაუქმებას. ევროპის საბჭოს (CoE) მომხსენებელი ამტკიცებს, რომ „სახელმწიფოების მეთაურები და სხვა სამთავრობო მოხელეები (ხელშეკრულების არამონაწილე სახელმწიფოებიდან) ვერ დაეყრდნობიან

42 იქვე.

43 Pocij, ევროპის საბჭოს ანგარიში, 15.

44 ერთიანი განცხადება და დეკლარაცია (Combined Statement and Declaration), 2.

45 Stéphanie Maupas, “Ukraine calls for the creation of a special tribunal on the crime of aggression,” Le Monde, 22 May 2022, https://www.lemonde.fr/en/international/article/2022/05/22/ukraine-calls-for-the-creation-of-a-special-tribunal-on-the-crime-of-aggression_5984275_4.html.

46 Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of Congo v. Belgium) [2002] ICJ Rep 3, 21–2, პარა. 58.

იმუნიტეტებს ასეთი საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე⁴⁷ თავისი პოზიციის დასაცავად, მომხსენებელს მოჰყავს ICJ-ს განცხადება *Arrest Warrant* საქმეში, რომ „მოქმედი ან ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი შეიძლება დაექვემდებარონ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას გარკვეული საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოების წინაშე, რომლებსაც აქვთ იურისდიქცია“⁴⁸

სამწუხაროდ, ეს იდუმალი განცხადება ვერ ხსნის, თუ რატომ შეუძლიათ საერთაშორისო სასამართლოებს, მაგრამ არა ეროვნულ სასამართლოებს, პირადი იმუნიტეტის გაუქმება. დამაჯერებელი ახსნა-განმარტების გარეშე შეუძლებელია იმის დადგენა, იქნება თუ არა ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სპეციალური ტრიბუნალი ისეთი საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც შეუძლია ისეთი თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორებიც არიან პუტინი და ლავროვი.

ერთი შესაძლო პასუხია ის, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებს გამონაკლისს პირადი იმუნიტეტისგან, რომელიც ვრცელდება ექსკლუზიურად საერთაშორისო სასამართლოებზე. ამგვარი პოზიცია ჰქონდა ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) სასამართლო პალატას *Milošević* საქმეზე⁴⁹ და ICC-ს წინასასამართლო პალატას მალავის მხრიდან ომარ ალ-ბაშირის დაპატიმრების წარუმატებლობის შესახებ საქმეზე.⁵⁰ ამას ასევე ადასტურებს ზოგიერთი მეცნიერი, განსაკუთრებით კლაუს კრესი.⁵¹

თუმცა, იმ სახელმწიფოთა პრაქტიკა, რომელიც მხარს უჭერს ამ პოზიციას, ძალიან მცირეა. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი (IMT) და შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი (IMTFE) სდევნიდნენ მხოლოდ ყოფილ სახელმწიფო მეთაურებს და საგარეო საქმეთა მინისტრებს.⁵² იგივე ეხება რუანდას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის შემთხვევაში (ICTR)⁵³. მიუხედავად იმისა, რომ ICTY-მ გასცა დაპატიმრების ორდერი მილოშევიჩის მიმართ, სანამ იგი ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებისას, იგი აღარ იკავებდა ამ თანამდებობას. სწორედ ამიტომ, ICTY-მ განიხილა თავისი სავარაუდო იურისდიქციის არარსებობა „ყოფილი პრეზიდენტის სტატუსის გამო“ – საკითხი რომელიც უკავშირდება ფუნქციონალურ და არა პიროვნულ იმუნიტეტს.⁵⁴ მართლაც, არსებობს მხოლოდ ორი მაგალითი იმისა, რომ თითქოს საერთაშორისო ტრიბუნალები ცხადად სდევნიდნენ პირებს, რომლებსაც სისხლისსამართლებრივი დევნის დროს პირადი იმუნიტეტით სარგებლობდნენ ეროვნული

47 Pocij, ევროპის საბჭოს ანგარიში, 15.

48 Arrest Warrant, 26, პარა. 61 (დამატებულია აქცენტი).

49 Prosecutor v. Milošević, Decision on Preliminary Motions, ICTY-IT-02-54, 8 November 2001, პარა. 28.

50 Prosecutor v. Al-Bashir, გადაწყვეტილების კორექტირება რომის სტატუტის 87(7) მუხლის შესაბამისად, მალავის რესპუბლიკამ შეასრულა სასამართლოს მიერ გაცემული თანამშრომლობის მოთხოვნები დაპატიმრებასთან დაკავშირებით და ომარ ჰასან აჰმად ალ ბაშირის ჩაბარება, ICC-02/05-01/09-139-Corr, 15 დეკემბერი 2011, პარა. 36.

51 Claus Kress, “The International Criminal Court and Immunities under International Law for States Not Party to the Court’s Statute,” in State Sovereignty and International Criminal Law, eds. Morten Bergsmo and Ling Yan (Beijing: Torkel Opsahl Academic EPublisher, 2012), 251.

52 Galand, UNSC მითითებები, 172–3.

53 იქვე., 173.

54 Kress, “Immunities,” 253.

სასამართლოების წინაშე: ჩარლზ ტეილორი სიერა ლეონეს სპეციალურ სასამართლოში (SCSL)⁵⁵ და უჭურუ კენიატა ICC-ში.⁵⁶

შესაბამისი პრაქტიკის არარსებობის გამო, კრესის მიერ ჩვეულებითი გამონაკლისის დაცვა ფოკუსირებულია „თანამედროვე ჩვეულებებზე“, რომელიც პრივილეგიას ანიჭებს *opinio juris*-ს სახელმწიფო პრაქტიკასთან მიმართებით. კრესი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ჩვეულება, შესაძლებლობას იძლევა, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ახალი წესები „შეიქმნას შედარებით მაღალი სიჩქარით და მკაცრი პრაქტიკის გარეშე, რომელიც ადასტურებს შესაბამის წესს“⁵⁷ ამგვარად, იგი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ტრიბუნალები, რომლებიც უარყოფენ პირადი იმუნიტეტის გამოყენებას, „საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტია იმისთვის, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სისხლის სამართლის კრისტალიზაციით, შესაძლოა წარმოიქმნას გამონაკლისი საერთაშორისო სამართლის იმუნიტეტის (*ratione personae*) პრინციპისგან, როცა სამართალწარმოება ხორციელდება საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოს წინაშე“⁵⁸

თუმცა, იუდან ტანის გულდასმითი შესწავლა რომის სტატუტის დამოკიდებულების შესახებ საერთაშორისო ჩვეულებრივ სამართალთან,⁵⁹ ცხადყოფს, რომ ჩვეულებითი სამართლის მეშვეობით დასამკვიდრებელი გამონაკლისის შესაძლებლობა იმაზე გაცილებით ნაკლებად წონიანია, ვიდრე კრესი ვარაუდობს. ნორმატიული დებულებების თვალსაზრისით, მაგალითად, იგი გვიჩვენებს, რომ IMT და IMTFE წესდებების შესაბამისი დებულებები მიზნად ისახავდა ხელი შეეშალა სახელმწიფო მოხელეების პრეტენზიისთვის „სახელმწიფოებრივი აქტის“ არსებით დაცვაზე და ისევე როგორც თავად გადაწყვეტილებებში არაფერი უთქვამთ პირადი იმუნიტეტის, როგორც იურისდიქციის პროცედურული აკრძალვის შესაძლებლობის შესახებ.⁶⁰ ICTY, ICTR და SCSL წესდებების შესაბამის დებულებებს აქვთ მსგავსი ფუნქცია, რადგან ისინი მიმართულია არა პირადი იმუნიტეტის, როგორც იურისდიქციის აკრძალვის მექანიზმის წინააღმდეგ, არამედ ბრალდებული თანამდებობის პირების ბრალის მიმართ.⁶¹ *Opinio juris* ჩვეულებითი გამონაკლისის სასარგებლოდ შეზღუდულია როგორც რომის სტატუტის 27(2) მუხლით, რომელიც ცალსახად უარყოფს პირად იმუნიტეტს, ასევე SCSL-ს მტკიცებით რომ „ახლა უკვე ჩამოყალიბებულია პრინციპი, რომ სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა ხელს არ უშლის სახელმწიფოს მეთაურის სისხლისსამართლებრივ დევნას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის ან სასამართლოს წინაშე“⁶²

შეიძლება ითქვას, ეს არის ვიწრო ფარგლები – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განვიხილავთ 27(2) მუხლის საზღვრებს როგორც *opinio juris*. სახელმწიფოები აუცილებლად აღიარებენ, რომ 27(2) მუხლი ადგენს კონვენციურ გამონაკლისს პიროვნული იმუნიტეტისგან

55 იქვე.

56 Galand, UNSC მითითებები, 158.

57 Kress, “Immunities,” 251.

58 იქვე. 254.

59 იხილეთ Yudan Tan, *The Rome Statute as Evidence of Customary International Law* (Leiden: Brill Nijhoff, 2021).

60 იქვე., 339.

61 ICTY წესდება, მუხლი 7(2); ICTR წესდება, მუხლი 6(2); SCSL წესდება, მუხლი 6(2).

62 *Prosecutor v. Charles Taylor, Decision on Immunity from Jurisdiction, SCSL-2003-01-1, 31 May 2004, პარა. 52.*

inter partes, როდესაც ისინი ახდენენ რომის სტატუტის რატიფიკაციას. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რატიფიკაცია მიუთითებს 27(2) მუხლის არაწევრ სახელმწიფოთა მიმართ გამოყენების მხარდაჭერაზე – მით უმეტეს, რომ პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს 27(2) მუხლს, გამოიყენება როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის საკითხი. პირიქით, აფრიკის კავშირი, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს სახელმწიფოების თითქმის 30%-ს, დაჟინებით ამტკიცებს, რომ პირადი იმუნიტეტი მოქმედებს საერთაშორისო სასამართლოების წინაშე არანაკლებად, ვიდრე ეროვნული სასამართლოების წინაშე.⁶³

მოკლედ, სახელმწიფო პრაქტიკა და *opinio juris* „არ არის საკმარისი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის იმ წესის დასამკვიდრებლად, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფოს მეთაურის იმუნიტეტის გამოყენებას ყველა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ დევნაში.“⁶⁴ მართლაც, ცხადია, რომ როდესაც ICC-ს მიეცა შესაძლებლობა აღნიშნული საკითხი განეხილა, სააპელაციო პალატა არ დაემორჩილა მალავის გადაწყვეტილებას პირადი იმუნიტეტის ჩვეულებით გამონაკლისად დადგენის თაობაზე. ამის ნაცვლად, მან უბრალოდ შეცვალა ჩვეულებითი საბაზისო ხაზი და განაცხადა, რომ იორდანის ტვირთი იყო ეჩვენებინა, რომ ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი ავრცელებდა პერსონალურ იმუნიტეტს საერთაშორისო სასამართლოებზე. საკითხის ამგვარად ჩამოყალიბების შემდეგ, გარდაუვალი იყო, რომ სააპელაციო პალატა დაადგენდა, რომ „არ არსებობს არც სახელმწიფო პრაქტიკა და არც *opinio juris*, რომელიც მხარს დაუჭერდა სახელმწიფოს მეთაურის იმუნიტეტის არსებობას საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, საერთაშორისო სასამართლოს წინაშე.“⁶⁵

თუმცა, სააპელაციო პალატის პოზიცია აუცილებლად ითვალისწინებს, რომ საერთაშორისო სასამართლოები არსებითად განსხვავდებიან ეროვნული სასამართლოებისგან. მხოლოდ ეს ვარაუდი აძლევს საშუალებას სააპელაციო პალატას დაჟინებით მოითხოვოს, რომ ეროვნული სასამართლოების წინაშე პირადი იმუნიტეტის შესახებ უდავო წესი არ ვრცელდება საერთაშორისო სასამართლოებზე, რითაც მოითხოვს ჩვეულებითი წესის მტკიცებულებას, რომელიც ავრცელებს პირველს მეორეზე. თუმცა, სააპელაციო პალატის ვარაუდი მცდარია. როგორც დაპო აკანდემ აღნიშნა, „მცირე მნიშვნელობა აქვს, უცხო სახელმწიფოები ცდილობენ განახორციელონ სასამართლო იურისდიქცია ცალმხრივად თუ რომელიმე კოლექტიური ორგანოს მეშვეობით, რომელზეც დაინტერესებული სახელმწიფო არ არის თანახმა.“⁶⁶ ორივე შემთხვევაში, სასამართლოს იურისდიქცია გამომდინარეობს – და არ შეიძლება აღემატებოდეს – განსახილველი სახელმწიფოს ან სახელმწიფოების იურისდიქციას. ასე რომ, თუ ეროვნულ სასამართლოებს არ შეუძლიათ გააუქმონ პირადი იმუნიტეტი (და უდავოა, რომ მათ ეს არ შეუძლიათ), მათ მიერ შექმნილ საერთაშორისო სასამართლოებსაც არ შეუძლიათ.

63 იხილეთ აფრიკის კავშირის ასამბლეის საგანგებო სხდომა, „გადაწყვეტილება აფრიკის საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ სისხლის სამართლის სასამართლო“, Ext/Assembly/au/Dec.1, 2013 წლის ოქტომბერი, §§ 9–10.

64 Phillip Wardle, “The Survival of Head of State Immunity at the International Criminal Court,” *Australian International Law Journal* 18 (2011): 190; see also Galand, UNSC Referrals, 175; Tan, *Rome Statute*, 377.

65 *Prosecutor v. Al-Bashir*, Judgment in the Jordan Referral re Al-Bashir Appeal, ICC-02/05-01/09OA2, 6 May 2019, para.113.

66 Dapo Akande, “International Law Immunities and the International Criminal Court,” *American Journal of International Law* 98, no. 3 (2004): 417.

რა თქმა უნდა, ეს ანალიზი არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო სასამართლოებმა ყოველთვის პატივი უნდა სცენ პირად იმუნიტეტს. ეს უბრალოდ ნიშნავს იმას, რომ ასეთი იმუნიტეტის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა საერთაშორისო სასამართლოს მარეგულირებელი დებულება სავალდებულო კონკრეტული სახელმწიფოს წარმომადგენლისთვის (თანამდებობის პირისთვის). თუ თანამდებობის პირი დებულებით არის შებოჭილი და დებულება არ ცნობს პირად იმუნიტეტს, სასამართლოს შეუძლია მისი სისხლისსამართლებრივი დევნა. მაგრამ თუ თანამდებობის პირი არ არის შებოჭილი წესდებით, სასამართლოს არ შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნა, რაც არ უნდა ეწეროს წესდებაში.⁶⁷

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა საერთაშორისო სასამართლო არ არის ერთნაირი კერძოდ:

არსებობს განსხვავება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციით შექმნილ ტრიბუნალებსა და ხელშეკრულებით დაარსებულ ტრიბუნალებს შორის. გაეროს უნივერსალური წევრობის გამო და იმის გამო, რომ საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა გაეროს ყველა წევრისთვის, ICTY და ICTR სტატუტების დებულებებს შეუძლიათ მოხსნან იმუნიტეტი პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მიმართ. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ეს სახელმწიფოები ვალდებული არიან და ირიბად თანხმდებიან (გაეროს წესდების მეშვეობით) იმუნიტეტის მოხსნის გადაწყვეტილებაზე. მეორე მხრივ, ვინაიდან ხელშეკრულების მხოლოდ მხარეები არიან შებოჭილი მისი დებულებებით, საერთაშორისო ტრიბუნალის დამფუძნებელი ხელშეკრულება ვერ მოუხსნის იმუნიტეტს, რომელსაც საერთაშორისო სამართალი ანიჭებს იმ სახელმწიფოთა ოფიციალურ პირებს, რომლებიც არ არიან ხელშეკრულების მხარეები.⁶⁸

ეს განსხვავება უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილ საერთაშორისო სასამართლოებსა და ხელშეკრულებით შექმნილ საერთაშორისო სასამართლოებს შორის – რომელსაც მეცნიერები ფართოდ უჭერენ მხარს⁶⁹ – მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ შექმნილ სპეციალურ ტრიბუნალს არ ექნება უფლება გააუქმოს ისეთი რუსი ოფიციალური პირების პირადი იმუნიტეტი, როგორებიც არიან პუტინი და ლავროვი. ასეთი სასამართლო იქნება საერთაშორისო პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ ის არ იქნება ისეთი „საერთაშორისო“ სასამართლო, რომელიც გადალახავს მის შემქმნელ სახელმწიფოთა იურისდიქციის საზღვრებს.⁷⁰ კრესიც კი აღიარებს იმას⁷¹, რასაც ფილიპ სენდსი, როდესაც SCSL განიხილავდა ჩარლზ ტეილორის პირადი იმუნიტეტის საკითხს. ტრიბუნალისადმი წარდგენილ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში, სენდსი ამტკიცებდა, რომ „ორ სახელმწიფოს არ შეუძლია შექმნას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო იმ მიზნით ან ეფექტით, რომ გვერდი აუაროს იურისდიქციის იმ შეზღუდვებს, რომლებიც ეკისრება ეროვნულ სასამართლოებს.“⁷²

67 იხ. Galand, UNSC Referrals, 161.

68 Akande, “ICC,” 417.

69 იხილეთ მაგალითად Galand, UNSC Referrals, 164; Sarah M. H. Nouwen, “The Special Court for Sierra Leone and the Immunity of Taylor: The Arrest Warrant Case Continued,” *Leiden Journal of International Law* 18 (2005): 649.

70 Nouwen, “Taylor Immunity,” 656.

71 Kress, “Immunities,” 236.

72 Prosecutor v. Charles Taylor, Submissions of the Amicus Curiae on Head of State Immunity, SCSL-2003-01-I, 2004, პარა. 43.

სანდსის სასამართლოს მეგობრის პოზიცია წარდგენილი იქნა სასამართლოში, რომელიც ორმა სახელმწიფომ შექმნა. თუმცა, „საერთაშორისო“ სასამართლოში მონაწილე სახელმწიფოების რაოდენობა არარელევანტურია. საკითხი ის კი არ არის, თუ რამდენი სახელმწიფო ახდენს თავისი იურისდიქციის დელეგირებას სასამართლოზე, არამედ არის თუ არა სასამართლოს მარეგულირებელი დებულება მხოტავი სახელმწიფო მოხელისთვის, რომელსაც სხვაგვარად პირადი იმუნიტეტი იცავს. ასე რომ 120 სახელმწიფოს მიერ შექმნილ ICC-საც კი არ აქვს უფლება გააუქმოს პირადი იმუნიტეტი იმ თანამდებობის პირს, რომლის სახელმწიფომაც არ განახორციელა რომის სტატუტის რატიფიცირება და რომლის სავარაუდო დანაშაული არ მიეკუთვნება უშიშროების საბჭოს მიერ სასამართლოსთვის წარდგენილ სიტუაციას.⁷³

ფუნქციური იმუნიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნული იმუნიტეტი ვრცელდება მხოლოდ მცირე რაოდენობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო მოხელეებზე, ყველა სახელმწიფო მოხელეს უფლება აქვს ისარგებლოს ფუნქციონალური იმუნიტეტით. ამგვარად, აგრესიაში ბრალდებული რუსი ქვედა დონის ოფიციალური პირი, უდავოდ შეეცდება, მოითხოვოს ფუნქციური იმუნიტეტი ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სპეციალური ტრიბუნალის წინაშე.

ზოგადად მიღებულია – თუმცა არა წინააღმდეგობრიობის გარეშე⁷⁴ – რომ ფუნქციური იმუნიტეტი არ ვრცელდება საერთაშორისო დანაშაულებებზე, როგორცაა გენოციდი, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, ომის დანაშაულები და წამება.⁷⁵ ვრცელდება თუ არა ფუნქციური იმუნიტეტი აგრესიაზე, ნაკლებად ნათელია. მეცნიერთა უმეტესობა ამტკიცებს, რომ ეს ასე არ არის და არ არსებობს ფუნქციონალური იმუნიტეტი ნებისმიერი დანაშაულისთვის, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მართლაც საერთაშორისოდ (კატეგორია, რომელიც აშკარად მოიცავს აგრესიას).⁷⁶ გერმანიის მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ, გასულ წელს ასევე განაცხადა, რომ ფუნქციური იმუნიტეტში არ მოიაზრება იმუნიტეტი აგრესიის დანაშაულთან მიმართებით.⁷⁷ აღნიშნული საპირისპიროდ, საერთაშორისო სამართლის კომისიის (ILC) ახლახან მიღებული მე-7 მუხლის პროექტი, რომელიც ეხება სახელმწიფო მოხელეების იმუნიტეტს უცხოური იურისდიქციისგან, არ შეიცავს აგრესიას იმ საერთაშორისო დანაშაულების ჩამონათვალში, რომელებიც გამოირიცხავს ფუნქციური იმუნიტეტს.⁷⁸

73 Akande, “ICC,” 421.

74 იხილეთ მაგალითად Roger O’Keefe, “An ‘International Crime’ Exception to the Immunity of State Officials from Foreign Criminal Jurisdiction: Not Currently, Not Likely,” *American Journal of International Law Unbound* 109 (2015): 167–72.

75 იხილეთ მაგალითად Dapo Akande and Sageeta Shah, “Immunities of State Officials, International Crimes, and Foreign Domestic Courts,” *European Journal of International Law* 21, no. 4 (2011): 851.

76 იხილეთ მაგალითად Helmut Kreicker, “Immunities,” in Kress and Barriga, *Crime of Aggression*, 2: 683.

77 იხილეთ Aziz Epik, “No Functional Immunity for Crimes under International Law before Foreign Domestic Courts: An Unequivocal Message from Germany’s Federal Court of Justice,” *Journal of International Criminal Justice* 19 (2021): 1271 (აღნიშნავს, რომ სასამართლომ დაადგინა, რომ ფუნქციონალური იმუნიტეტი არ ვრცელდება ომის დანაშაულებებზე, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებზე, გენოციდზე და „გარკვეულ სხვა დანაშაულებზე, რომლებიც აწუხებს მთელ საერთაშორისო საზოგადოებას“). ეპიკს სჯერა ამის „სხვა შემთხვევების დანაშაულები“ ეხება აგრესიას. იქვე, 1276 წ.

78 იხილეთ International Law Commission, “Immunity of State officials from foreign criminal jurisdiction,” A/CN.4/L.893, 10.

სახელმწიფო პრაქტიკისა და opinio juris სიმწირის გათვალისწინებით, აგრესიის დანაშაულისთვის ფუნქციური იმუნიტეტის ხელმისაწვდომობის შესახებ საბოლოო დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ნათელია, როგორც გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებამიუთითებს, რომ საერთაშორისო და ეროვნულ სასამართლოებს სულ უფრო მეტად არ სურთ აღიარონ ფუნქციური იმუნიტეტი ნებისმიერი საერთაშორისო დანაშაულისთვის – არა მხოლოდ ისეთების მიმართ, რაც შეიძლება დამაჯერებლად (ვიდრე ფიქტიურად) იყოს აღწერილი, როგორც არაოფიციალური ქმედებები, არამედ ისეთებისაც, რომლებიც, ისევე როგორც ცალკეული წამების დანაშაული, აუცილებლად სახელმწიფო დანაშაულებს განეკუთვნებიან.⁷⁹ ამრიგად, ძალიან გასაკვირი იქნება, თუ ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სპეციალური ტრიბუნალი (ან რომელიმე სასამართლო) დაასკვნის, რომ ფუნქციონალური იმუნიტეტი ვრცელდება აგრესიაზე, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულში მონაწილეობა არსებითად არის სამსახურებრივი ქმედება.⁸⁰

შერჩევითობა. მეორე დასაფიქრებელი საკითხი სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ შექმნილ სპეციალურ ტრიბუნალთან დაკავშირებით არის გზავნილი, რასაც იგი გააგზავნის საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შერჩევითობის შესახებ. აქ არის ორი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა. პირველი არის კონფლიქტთაშორისი სელექციურობა: კერძოდ, აგრესიის ერთი აქტისთვის ახალი საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა, როდესაც სხვა აგრესიული ქმედებებიც იმსახურებენ სისხლისსამართლებრივ დევნას.⁸¹ ეჭვგარეშეა, რომ რუსეთის შეჭრა უკრაინაში საკმარისად სერიოზულია, რათა გაამართლოს სპეციალური ტრიბუნალი. მაგრამ ერაყში შეჭრა 2003 წლის მარტში თანაბრად სერიოზული იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ „კოალიციამ“ რომელსაც მეთაურობდნენ აშშ და დიდი ბრიტანეთი, გაგზავნა 150000-ზე მეტი ჯარისკაცი ერაყში, დაამხო მისი მთავრობა და დაამყარა სამხედრო ოკუპაცია, რომელიც 15 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. შეჭრის შედეგები მოსალოდნელად კატასტროფული იყო: დაიღუპა დაახლოებით 200 000 მშვიდობიანი მოქალაქე და 2 000 000-ზე მეტი გახდა ლტოლვილი. არ არსებობდა შეჭრის დამაჯერებელი იურიდიული გამართლება⁸²: ის არ იყო უშიშროების საბჭოს მიერ უფლებამოსილი, არ იყო თავდაცვის აქტი (რადგან ერაყს არ ჰქონდა განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა აშშ-ზე), და ერაყი არ დათანხმდა ძალის გამოყენებაზე. ელიზაბეტ ვილმშურსტმა, გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული მრჩეველის მოადგილემ, თანამდებობა დატოვა, რადგან თვლიდა, რომ შეჭრა იყო აგრესიის დანაშაულებრივი აქტი.⁸³ თუმცა, არცერთ სახელმწიფოს არასოდეს არ მოუწოდებია ახალი საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნისკენ, რომელსაც უფლება ექნება გამოეძიებინა და დაესაჯა ამერიკელი ან ბრიტანელი ლიდერები ერაყის შეჭრაში მათი როლისთვის.

79 იხილეთ მაგალითად Douglas Guilfoyle, *International Criminal Law* (Oxford: Oxford University Press, 2016), 396.

80 Dannenbaum, “Mechanisms.”

81 იქვე.

82 იხილეთ მაგალითად Anne-Marie Slaughter, “The Use of Force in Iraq: Illegal and Illegitimate,” *Proceedings of the Annual Meeting (American Society of International Law)* 98 (March-April 2004): 262.

83 “Wilmshurst Letter,” *BBC News*, 24 March 2005, http://news.bbc.co.uk/1/hi/uk_politics/4377605.stm (“[A]n unlawful use of force on such a scale amounts to the crime of aggression.”)

ამ თვალსაჩინო შერჩევითობის გათვალისწინებით, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრისთვის სპეციალური ტრიბუნალის შექმნა – ერთობლივი განცხადებისა და დეკლარაციის საწინააღმდეგოდ – არ „დაიცავს კანონის უზენაესობასა და გაეროს წესდების პრინციპებს, მათ შორის ძალის გამოყენების აკრძალვას“⁸⁴ ამის ნაცვლად, ის გაგზავნის გზავნილს, რომ „საერთაშორისო საზოგადოებას“ უფრო მეტად აინტერესებს აგრესიის ზოგიერთი დანაშაული, ვიდრე სხვები.⁸⁵ მართლაც, როგორც სა ბენჟამინ ტრაორემ (Sâ Benjamin Traoré) განმარტა, აფრიკელების მხრიდან მრავალრიცხოვანი თავის შეკავებები Res. ES-11/A-სთან მიმართებით თითქმის უდავოდ განპირობებულია შერჩევითობის საკითხზე დაფიქრებით:

არსებობს ძლიერი განცდა – განსაკუთრებით საზოგადოებრივ აზრსა და ჩვეულებრივ მოქალაქეებში – დასავლური სახელმწიფოების ორმაგი მიდგომების ირგვლივ, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო სამართლის პატივისცემას. აღქმა არის ის, რომ დასავლეთის გულმოდგინება უკრაინის მიმართ და არა საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევის სხვა სიტუაციებისთვის, არის შემამოფოთებელი, მოკისმომგვრელი და არაფერი სხვა თუ არა თვალთმაქცობა და ორმაგი სტანდარტები საერთაშორისო პოლიტიკაში.⁸⁶

რა თქმა უნდა, ყველა არ ეთანხმება ამ შერჩევით კრიტიკას. მაგალითად, მაკდუგალი ცდილობს განასხვავოს ერაყი უკრაინისგან იმ მტკიცებით, რომ ეს უკანასკნელი „აგრესიული დანაშაულის პირველი აშკარა შემთხვევაა დანაშაულის საერთაშორისოდ შეთანხმებული განმარტების მიღების შემდეგ.“⁸⁷ ეს ფაქტობრივად მართალია, მაგრამ როგორც თავად მაკდუგალი აღიარებს, აგრესიის დანაშაული მტკიცედ იყო მოაზრებული საერთაშორისო ჩვეულებრივ სამართალში რომის სტატუტამდე დიდი ხნით ადრე; რთულია იმის მტკიცება, რომ ერაყში შეჭრა არ არღვევდა აგრესიის ჩვეულებითსამართლებრივ განმარტებას, იმის გათვალისწინებით, რომ განმარტება მოიცავს შემოსევებს, რომლებიც გამიზნულია რეჟიმის შეცვლის ან სამხედრო ოკუპაციის დასამყარებლად.

სელექციურობის პრობლემა ასევე ეხება იმ სახელმწიფოთა იდენტიობას, რომლებიც შექმნიდნენ სპეციალურ ტრიბუნალს და შემდეგ გააკონტროლებდნენ მის მუშაობას. ICC-ს არ აქვს იურისდიქცია არაწევრი სახელმწიფოების მიერ ჩადენილ აგრესიულ აქტებზე, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს მხურვალე ოპოზიციის გამო, მაშინ როცა სხვა ძლიერმა სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, კანადამ, ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ მოახერხეს მონაწილე სახელმწიფოების მიერ ჩადენილი აგრესიული ქმედებების გამორიცხვა იურისდიქციიდან, თუ ისინი არ „შეუერთდებიან“ აგრესიის შესწორებებს რატიფიკაციებით.⁸⁸ ამ სახელმწიფოების ძალისხმევის გარეშე, სავარაუდოა, რომ პროკურორის ოფისის ამჟამინდელ გამოძიებას უკრაინაში მოეცვა აგრესიაც ომის დანაშაულებთან და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებთან ერთად.

84 ერთობლივი განცხადება და დეკლარაცია, 3.

85 იხილეთ მაგალითად Hathaway, “In Search.”

86 Sâ Benjamin Traoré, “Making sense of Africa’s massive abstentions during the adoption of the UNGA resolution on the Aggression Against Ukraine,” *AfricLAW*, 21 April 2022, <https://africlaw.com/2022/04/21/making-sense-of-africas-massive-abstentions-during-the-adoption-of-the-unga-resolution-on-the-aggression-against-ukraine/>.

87 McDougall, “Why.”

88 Noah Weisbord, *The Crime of Aggression* (Princeton: Princeton University Press, 2019), 107.

ცოტა რამ არის ცნობილი იმის შესახებ, თუ რომელი სახელმწიფოები უჭერენ მხარს ხელშეკრულებაზე დაფუძნებულ სპეციალურ ტრიბუნალს. თუმცა, ღრმად პრობლემური იქნებოდა, თუ იგივე ქვეყნები, რომლებმაც რუსეთის სპეციფიური ტრიბუნალის აუცილებლობა შექმნეს აგრესიის დანაშაულის სტერილიზაციის გზით, ახლა წამყვან როლს შეასრულებენ ახალი ტრიბუნალის შექმნასა და ფუნქციონირებაში. კიდევ უფრო უარესი იქნება, თუ ამ ჯგუფში შევა ორი სახელმწიფო: აშშ და დიდი ბრიტანეთი, რომლებიც ყველაზე მეტად არიან პასუხისმგებელი ერაყში შეჭრაზე. როგორც დენენბაუმი ამბობს, ასეთი შერჩევითობა „ექვევით დააყენებს ტრიბუნალის მორალურ მდგომარეობას, რათა გამოსცეს ისეთი სახის დაგმობა, რომელიც უნდა იყოს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასჯელის განუყოფელი ნაწილი.“⁸⁹

ჩემი აზრით, ზემოთ განხილული შერჩევითობის ორი საკითხი საკმარისია ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სპეციალური ტრიბუნალის არასასურველობის დასადგენად. თუმცა, სხვა კომენტატორები არმეთანხმებიან, ისინი ციკი – რომლებიც აღიარებენ შერჩევითობის პრობლემას. მაგალითად, ევროპის საბჭოს მომხსენებელი ამტკიცებს, რომ „ჩვენ უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო თანამეგობრობის უპრეცედენტო პოლიტიკური რეაგირების მომენტი, რათა განვამტკიცოთ (არა შევასუსტოთ) საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, მათ შორის ახალი და დროებითი მექანიზმების შექმნით, რომლებიც შეავსებენ არსებულს და რატომღაც არასრულყოფილს.“⁹⁰ ანალოგიურად, დენენბაუმის მტკიცებით, იმის გამო, რომ „აგრესიის დანაშაულის აღორძინება სადღაც უნდა დაიწყოს... უკრაინაში შეჭრა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე აშკარად აგრესიული ომი ბოლო 80 წლის განმავლობაში, იძლევა შესაძლებლობას, დაიწყოს ეს აღორძინება“,⁹¹ ხოლო მაკდუგალი დაჟინებით მოითხოვს, რომ ჩვენ უნდა მოვახდინოთ „მომავალში უკეთესი შედეგების ადვოკატირება, იმავდროულად მივალწიოთ იმ სამართლიანობას, რაც ერთი ხელის გაწვდენაზეა.“⁹²

თუმცა, არსებობს კრიტიკული პრობლემა იმ არგუმენტთან დაკავშირებით, რომ რუსეთის აგრესიის სპეციალური ტრიბუნალი უფრო სავარაუდოს გახდის მსგავსი ტრიბუნალების შექმნას სხვა ძლიერი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული აგრესიის მომავალი აქტებისთვის: კერძოდ, არ არსებობს მტკიცებულება, რომ ძლიერი სახელმწიფოები ეთანხმებიან ამ არგუმენტს. როგორც გარდაცვლილმა რობ კრაიერმა არაერთხელ შეგვახსენა, თითქმის ყველა სახელმწიფო და განსაკუთრებით ძლევამოსილი სახელმწიფოები ბევრად უფრო მზად არიან შექმნან „უსაფრთხო“ საერთაშორისო ტრიბუნალები, რომელთა წესები ვრცელდება მხოლოდ სხვებზე, ვიდრე „არაუსაფრთხო“, რომელთა წესებიც მათზე გავრცელდება.⁹³ მისი არგუმენტი განსაკუთრებით აქტუალურია აგრესიის დანაშაულთან დაკავშირებით, როდესაც ძლიერმა სახელმწიფოებმა დიდი ძალისხმევა გასწიეს იმისთვის, რომ სასამართლომ ვერასოდეს გაასამართლოს საკუთარი ლიდერები აგრესიის ჩადენის გამო. ამ ისტორიის გათვალისწინებით,

89 Dannenbaum, “Mechanisms.”

90 Pocij, CoE Report, 16.

91 Dannenbaum, “Mechanisms.”

92 McDougall, “Why.”

93 Robert Cryer, Prosecuting International Crimes: Selectivity and the International Criminal Law Regime (Cambridge: Cambridge University Press, 2005), 232–3.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ სპეციალური ტრიბუნალის შექმნა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის საკითხზე, წარმატებული პრეცედენტი იქნება მსგავსი ტრიბუნალების შექმნის გზაზე. პირიქით, თუ ისეთი სახელმწიფოები, როგორცაა აშშ და დიდი ბრიტანეთი, საბოლოოდ დაუჭერენ მხარს სპეციალურ ტრიბუნალს, ეს თითქმის უდავოდ იქნება იმიტომ, რომ მათ იციან ასეთი ტრიბუნალი არასოდეს შეიქმნება მათივე აგრესიის დანაშაულებრივი ქმედებებისთვის.

გენერალური ასამბლეის დადასტურება

სპეციალური ტრიბუნალის შექმნა ასევე შესაძლებელია გენერალური ასამბლეის დასტურით. აღნიშნული შეიძლება ორგვარად განხორციელდეს. ყველაზე გავრცელებული შეთავაზება არის ის, რომ გაერო და უკრაინა, გენერალური ასამბლეის დასტურით, შეთანხმდნენ, რათა შეიქმნას ტრიბუნალი რუსეთის შეჭრასთან დაკავშირებულ საკითხებზე.⁹⁴ ეს მოდელი ეფუძნება საგანგებო პალატების შექმნის მაგალითებს კამბოჯას სასამართლოებში.⁹⁵ ალტერნატიულად, გენერალურ ასამბლეას შეუძლია გამოიყენოს იმ ხელშეკრულების დამოწმების უფლებამოსილება, რომელიც დადებულია სახელმწიფოთა ჯგუფის, მათ შორის უკრაინის მიერ – ზემოთ განხილული მოდელი. ეს ვარიანტი მოწონებულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ: რეზოლუცია 2436, რომელიც 2022 წლის აპრილში მიიღეს, მოითხოვს შეიქმნას „ad hoc საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი, რომელიც დაფუძნდება თანამოაზრე სახელმწიფოების მიერ, მრავალმხრივი ხელშეკრულების სახით, რომელსაც მოიწონებს გაეროს გენერალური ასამბლეა, ხოლო მხარს დაუჭერს ევროპის საბჭო, ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები“⁹⁶

თუმცა, გენერალური ასამბლეის მოწონებით შექმნილი სპეციალური ტრიბუნალი, კვლავ წარმოადგენს შერჩევით კონფლიქტთაშორის მართლმსაჯულებას, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ტრიბუნალი არასოდეს ყოფილა შემოთავაზებული ერაყში შეჭრისთვის (ან აგრესიის სხვა აქტისთვის). უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ICC-ს გაფართოებული იურისდიქცია მაინც უკეთესი შესაძლებლობა იქნება, გენერალური ასამბლეის მოწონება არ აღმოფხვრის რისკს, რომ სპეციალურ ტრიბუნალში, „ბინძური ხელების“ მქონე სახელმწიფოების დომინირება მივიდოთ, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს მოწონებულ, „სახელმწიფოების ჯგუფის“ მოდელში. თუმცა, უდავოა, რომ შერჩევითობის პრობლემა მნიშვნელოვნად შემცირდება, თუ ტრიბუნალი ისარგებლებს გენერალური ასამბლეის მხარდაჭერით. როგორც

94 იხილეთ მაგალითად McDougall, “Why”; Alexander Komarov and Oona S. Hathaway, “The Best Path for Accountability for the Crime of Aggression Under Ukrainian and International Law,” Just Security, 11 April 2022, <https://www.justsecurity.org/81063/the-best-path-for-accountability-for-the-crime-of-aggression-under-ukrainian-and-international-law/#:~:text=The%20most%20promising%20way%20forward,the%20crime%20of%20aggression>.

95 შეთანხმების პროექტი გაეროსა და კამბოჯის სამეფო მთავრობას შორის დემოკრატიული კამპუჩიის პერიოდში ჩადენილი დანაშაულების კამბოჯის კანონით დევნის შესახებ, დათარიღებული 2003 წლის 17 მარტით. დამტკიცებულია UNGA Res 57/228B, 2003 წლის 13 მაისი.

96 რეზოლუცია 2436, პარა. 11.6.4.

კომაროვი და ჰეთევეი აღნიშნავენ, „რამდენიმე სახელმწიფოს მიერ შექმნილ ტრიბუნალს არ ექნება ისეთი ლეგიტიმაცია, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შექმნილს.“⁹⁷

გაცილებით რთული საკითხია, რამდენად შეუძლია გენერალური ასამბლეის მოწონებას პირადი იმუნიტეტის პრობლემის გადაჭრა. როგორც ზემოთ განვიხილეთ, იმის გამო, რომ მას არ გააჩნია იძულების უფლებამოსილება, გენერალურ ასამბლეას არ შეუძლია ხელშეკრულების არაწევრი სახელმწიფოთა წარმომადგენლების გადაცემა ICC-სთვის, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ რომის სტატუტში ცვლილებები, სწორედ ასეთი შესაძლებლობის შესაქმნელად განხორციელდა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებული სპეციალური ტრიბუნალი შეძლებს პირადი იმუნიტეტის გაუქმებას იმავე მიზეზით: მაშინაც კი, თუ ტრიბუნალის მარეგულირებელი წესდება არ ცნობს პიროვნულ იმუნიტეტს, რომის სტატუტის 27(2) მუხლის მიხედვით, გენერალურ ასამბლეას არ ექნება უფლება, აღნიშნული წესდება სავალდებულო გახადოს რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებისთვის. ამდენად, სპეციალურ ტრიბუნალს მოუწევს აღიაროს პუტინის ან ლავროვის პირადი იმუნიტეტი, თუ რუსეთი თავად არ მოუხსნის მათ იმუნიტეტს.

ამასთან, თუ რომელიმე ტრიბუნალს, რომელიც არ არის შექმნილი უშიშროების საბჭოს მიერ, შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არის „საერთაშორისო სასამართლო“ *Arrest Warrant* საქმეში დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, მითუფრო, ამ მოდელის მიხედვით, ეს იქნება სპეციალური ტრიბუნალი, რომელიც მოწონებულია გენერალური ასამბლეის მიერ.⁹⁸ რამდენიმე მეცნიერმა, ამ კონტექსტში, SCSL გამოიყენა,⁹⁹ რაც ინტუიციური აზრია იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებმა გააუქმეს ტეილორის პირადი იმუნიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნალი არ იყო შექმნილი უშიშროების საბჭოს მიერ, გაეროს ქარტიის VII თავის უფლებამოსილების ფარგლებში.¹⁰⁰ ტეილორის იმუნიტეტის გადაწყვეტილებას უნდა დავეყრდნოთ სიფრთხილით, რადგან მოსამართლეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რეზოლუცია, რომელიც გაეროს და სიერა ლეონეს უფლებას აძლევდა შექმნან SCSL, რეზოლუცია 1315, თავად ეფუძნებოდა VII თავს – კერძოდ, ამ თავის 39-ე და 41-ე მუხლებს. როგორც მათ განაცხადეს, „ეს უფლებამოსილებები საკმარისად ფართოა იმისთვის, რომ უშიშროების საბჭოს უფლება მისცეს, წამოიწყოს სპეციალური სასამართლოს შექმნის პროცედურა სიერა ლეონესთან შეთანხმებით, როგორც ეს გააკეთა 1315 რეზოლუციით.“¹⁰¹ სიტყვასიტყვით რომ წავიკითხოთ, ტეილორის იმუნიტეტის გადაწყვეტილება არ მოიცავს შესაძლებლობას, გენერალურმა ასამბლეამ, რომლის რეზოლუციები არ არის შესასრულებლად სავალდებულო, შექმნას „საერთაშორისო სასამართლო“, რომელსაც შეუძლია გააუქმოს პირადი იმუნიტეტი.

მიუხედავად ამისა, SCSL-ის მოწოდების მოტივაციის ზოგადი იდეა მაინც გამართლებულია. როგორც ზემოთ განვიხილეთ, კრესის შეხედულება, თანამედროვე ჩვეულებაზე პირადი

97 Komarov and Hathaway, “Best Path.”

98 Cf. Dannenbaum, “Mechanisms” (“If it is correct to say that status immunities do not apply before international courts qua international courts, a court created by the General Assembly would have the strongest claim to that status.”).

99 იხილეთ მაგალითად Kress, “Immunities,” 247.

100 *Taylor Immunity Decision*, პარა 38.

101 იქვე. პარა 37.

იმუნიტეტის ჩვეულებითსამართლებრივი გამონაკლისის დასაცავად ვერ ხერხდება მხარდამჭერი opinio juris-ის არარსებობის გამო. მისი არგუმენტი ბევრად უფრო ძლიერი იქნებოდა, თუ შეიქმნება სპეციალური ტრიბუნალი, მხარდამჭერილი გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, რომელიც ცალსახად დაადასტურებდა პირადი იმუნიტეტის გამოუყენებლობის საკითხს.¹⁰² როგორც კრესი ამბობს, „აბსტრაქტულ დონეზე“ სასამართლო უნდა ჩაითვალოს „საერთაშორისოდ“ მანამ, სანამ მას „შეუძლია წარმოადგინოს დამაჯერებელი პრეტენზია უშუალოდ განასახიეროს „კოლექტიური ნება“.¹⁰³

თუმცა ეს არგუმენტი ორ მნიშვნელოვან კითხვას ბადებს. პირველი ამკარაა: რამდენი სახელმწიფოს მხარდამჭერა დასჭირდება გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, რომელიც უფლებას მისცემს შექმნას სპეციალური ტრიბუნალი, რათა მას ჰქონდეს პირადი იმუნიტეტის გაუქმების უფლება? იმის გათვალისწინებით, რომ პიროვნული იმუნიტეტი დიდი ხანია არის ფუნდამენტური საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგისთვის, მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ ტესტი, რომელსაც საერთაშორისო სამართლის კომისია იყენებს jus cogens ნორმების იდენტიფიკაციისთვის. სპეციალური მომხსენებლის უახლესი ანგარიშის მიხედვით, კომისიის წევრები ზოგადად მხარს უჭერენ „სახელმწიფოების ძალიან დიდი და წარმომადგენლობითი უმრავლესობის მიერ მიღებისა და აღიარების მოთხოვნას“.¹⁰⁴ ეს ტესტი ხაზს უსვამს იმას, რომ jus cogens ნორმის ნიშანი არ არის მხოლოდ ის, თუ რამდენი სახელმწიფო იღებს მას, არამედ არის თუ არა ნორმა – რომ მოვახდინოთ საერთაშორისო სამართლის კომისიის სინგაპურელი წევრის ციტირება – მიღებული სახელმწიფოების მიერ „რეგიონებში, იურიდიულ სისტემებსა და კულტურებში“.¹⁰⁵

მეორე კითხვა უფრო პრაქტიკულია: „სახელმწიფოების ძალიან დიდი და წარმომადგენლობითი უმრავლესობა“ რეალურად კენჭს უყრის გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, რომელიც ცალსახად უფლებას აძლევს სპეციალურ ტრიბუნალს, გაუქმოს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა პირადი იმუნიტეტი? ბევრი მეცნიერი სკეპტიკურადაა განწყობილი,¹⁰⁶ და კარგი მიზეზიც აქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფრიკის კავშირი, რომელიც წარმოადგენს 50-ზე მეტ სახელმწიფოს, კატეგორიულად უარყოფს იმ აზრს, რომ პირადი იმუნიტეტი არ გამოიყენება საერთაშორისო სასამართლოების წინაშე. ამდენად, თითქმის წარმოუდგენელია, აფრიკის მცირერიცხოვანმა ქვეყნებმა ხმა მისცენ თუნდაც ისეთ რეზოლუციას, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ რუსული აგრესიით. მხოლოდ აფრიკის კავშირის წინააღმდეგობა შეუძლებელს გახდის საჭირო „სახელმწიფოების ძალიან დიდი და წარმომადგენლობითი უმრავლესობის“ პოვნას.

102 ასევე სასარგებლო იქნება ასეთი რეზოლუციისთვის ცალსახად ნათქვამი, რომ ფუნქციური იმუნიტეტი არ ვრცელდება აგრესიაზე.

იხილეთ Dannenbaum, “Mechanisms.”

103 Kress, “Immunities,” 247.

104 ILC, “Fifth report on peremptory norms of general international law (jus cogens) by Dire Tladi, Special Rapporteur,” A/CN.4/747, 24 January 2022, ¶ 96.

105 იქვე. პარა 86.

106 იხილეთ Hathaway, “In Search.”

უფრო მეტიც, წინააღმდეგობა სპეციალურ ტრიბუნალთან, რომელსაც აქვს უფლება გააუქმოს პირადი იმუნიტეტი, სავარაუდოდ, აფრიკის კონტინენტის ფარგლებს გასცდება. ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რეზოლუციაზე ES-11/1,107 ხმა მისცა წინააღმდეგ ან თავი შეიკავა,¹⁰⁷ იმ პირობებში, როდესაც მოცემული რეზოლუცია არაფერს ამბობდა სპეციალურ ტრიბუნალზე ან პირად იმუნიტეტზე, უბრალოდ რუსეთის შეჭრა უკრაინაში აგრესიის აქტად მიიჩნია. კიდევ უფრო დიდი ნაწილი იყო წინააღმდეგი ან თავი შეიკავა რეზოლუცია ES-11/L.4 მხარდაჭერისგან, რომელიც რუსეთს ადამიანის უფლებათა საბჭოდან რიცხავს. ამ სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ჯგუფი სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდანაა.¹⁰⁸ შესაბამისად, არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს სახელმწიფოები უფრო მეტად დაუჭერენ მხარს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, რომელიც შექმნის სასამართლოს, რომლის არსებობა იქნება პრეცედენტი იმისა, რომ ერთ დღესაც, საკუთარივე სახელმწიფოს მეთაურები და საგარეო საქმეთა მინისტრები აღმოჩნდებიან სისხლისსამართლებრივ დევნის ობიექტები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრებები რისკის შემცველია არამხოლოდ იმ საკითხის გამო, რომ სპეციალური ტრიბუნალს შესაძლებლობა ექნება, გვერდი აუაროს ისეთი რუსი მაღალჩინოსნების პირად იმუნიტეტს, როგორც არიან პუტინი და ლავროვი, არამედ იგი ძირს უთხრის თავად სპეციალური ტრიბუნალის იდეას, რომელიც დაფუძნებულია გენერალურ ასამბლეის მხარდაჭერაზე. ამგვარი ტრიბუნალის შექმნის მთავარი არგუმენტია, რომ გენერალური ასამბლეის მოწონება გაზრდის ტრიბუნალის ლეგიტიმურობას შერჩევითობის აღქმის მინიმუმამდე შემცირებით. თუმცა, ეს ეფექტი ემყარება რეზოლუციის მიღებას გაეროს წევრი ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ. თუმცა, რთულია ვივარაუდოთ, რომ სპეციალური ტრიბუნალი აღიქმება ლეგიტიმურად, თუ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, რომელიც მის შექმნას მხარს დაუჭერს, ჩავარდება, მიღებული იქნება სახელმწიფოთა უმცირესობის მიერ (როგორცაა ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია, რომელმაც 93 ხმა დააგროვა) ან მიღებული იქნება ხმათა მცირე უმრავლესობით, გლობალურ სამხრეთის მცირე მხარდაჭერით. პირიქით, მსგავსი პროცედურით დაარსებული ტრიბუნალი, გარკვეულწილად სამართლიანადაც, განიხილება როგორც შერჩევითი მართლმსაჯულების შესაძლებლობა.

ჰიბრიდული ტრიბუნალი

უკრაინაში შეჭრაზე პასუხისმგებელი რუსი ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების კიდევ ერთი პოტენციური შესაძლებლობა არის ჰიბრიდული ტრიბუნალი. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ასეთი ტრიბუნალების ერთიანი განმარტება, ისინი საყოველთაოდ გაგებულია, როგორც „შერეული შემადგენლობისა და იურისდიქციის სასამართლოები, რომლებიც მოიცავს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ასპექტებს,

107 იხილეთ Wikipedia Voting Map, https://en.m.wikipedia.org/wiki/File:United_Nations_General_Assembly_resolution_ES-11_L.1_vote.svg.

108 იხილეთ Wikipedia Voting Map, https://commons.wikimedia.org/wiki/File:United_Nations_General_Assembly_resolution_ES-11_L.4_vote.svg.

რომლებიც ჩვეულებრივ მოქმედებენ იმ იურისდიქციის ფარგლებში, სადაც მოხდა დანაშაული.¹⁰⁹ ამის მაგალითია კამბოჯას სასამართლოების ექსტრაორდინალური პალატები, რომლებიც დაფუძნებული იყო კამბოჯას სასამართლო სისტემაში, განსჯიდან საერთაშორისო დანაშაულებს და ჰყავდათ საერთაშორისო პროკურორები და მოსამართლეები.¹¹⁰

რუსული აგრესიის კონტექსტში, ჩემი და სხვების¹¹¹ წინადადება არის, რომ უკრაინამ დადოს შეთანხმება ევროპის საბჭოსთან უკრაინის აგრესიის უმაღლესი პალატის (HUCA) შექმნის შესახებ: აგრესიაზე იურისდიქციის მქონე სპეციალიზებული პალატა უკრაინის სასამართლო სისტემაში. უკრაინას ექნებოდა უმთავრესი პასუხისმგებლობა HUCA-ს მუშაობაზე, მაგრამ თავად პალატა შედგებოდა როგორც უკრაინელი, ასევე არაუკრაინელი მოსამართლეებისა და პროკურორებისგან და მას დახმარებას გაუწევდა ევროპის საბჭო – ფინანსურად, შესაძლებლობების განვითარების პროექტებით და ა.შ. პროცედურულად, ევროპის საბჭოს სტატუტის 15(a) მუხლის შესაბამისად, უკრაინამ უნდა სთხოვოს მინისტრთა საბჭოს, წევრმა სახელმწიფოებმა შეიმუშავონ „საერთო პოლიტიკა“ HUCA-ს მხარდასაჭერად. აღნიშნული ევროპის საბჭოს საშუალებას მისცემს, დადოს საჭირო შეთანხმება უკრაინასთან, რადგან როგორც ევროპის საბჭოს მომხსენებელი აღნიშნავს, რუსეთის „მიმდინარე აგრესია ევროპის საბჭოს სტატუტის სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს“ და ტრიბუნალი იქნება „პასუხი ერთ-ერთი წევრის ტერიტორიაზე ჩადენილი ადამიანის უფლებათა მასშტაბური დარღვევებისთვის“.¹¹²

კომაროვი და ჰეთევეი ვარაუდობენ, რომ უკრაინის აგრესიის უმაღლესი პალატა ეწინააღმდეგება უკრაინის კონსტიტუციის 125-ე მუხლს,¹¹³ რომელიც ადგენს, რომ „არ დაიშვება საგანგებო და სპეციალური სასამართლოების შექმნა“. თუმცა, არსებობს HUCA-სთვის სხვა პრეცედენტი: უკრაინის უმაღლესი ანტიკორუფციული სასამართლო (HACC), რომელიც შეიქმნა, როგორც სპეციალიზებული სასამართლო უკრაინის სასამართლო სისტემაში 2019 წელს. 2022 წლის მაისში, უკრაინის პარლამენტმა მიიღო კანონმდებლობა, რომელიც აფართოებს HACC-ის იურისდიქციას და მოიცავს შესაძლებლობა „კომპენსაციის გარეშე ჩამოართვან ქონება კონკრეტულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც დაკავშირებული არიან რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო აგრესიასთან“.¹¹⁴ მიუხედავად იმისა, რომ HACC არ იყენებს საერთაშორისო მოსამართლეებს ან პროკურორებს, საერთაშორისო

109 Office of the High Commissioner for Human Rights, Maximising the Legacy of Hybrid Courts, 2008, 1, <https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Publications/HybridCourts.pdf>.

110 Kirsten Ainley and Mark Kersten, *Dakar Guidelines on the Establishment of Hybrid Courts* (2019), 102, http://eprints.lse.ac.uk/101134/1/Dakar_Guidelines_print_version_corr_1_.pdf.

111 იხილეთ მაგალითად Carl Bildt, “The EU Must Help Prosecute Putin for Crimes of Aggression – Here’s How,” *Politico*, 23 May 2022, <https://www.politico.eu/article/the-eu-must-help-prosecute-putin-for-crimes-of-aggression-heres-how/>.

112 Pocij, CoE Report, 15.

113 Komarov and Hathaway, “Best Path.”

114 Cameron McKenna and Nabarro Olswang, “Ukraine Expands Sanctions against Russia and its Supporters,” *Lexology*, 20 May 2022, <https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=7d1f4c76-3219-4caa-8678-196368912a4f>.

ექსპერტთა საჯარო საბჭოს აქვს სასამართლო დანიშვნების დაბლოკვის უფლებამოსილება,¹¹⁵ და, ზოგადად, ამ სასამართლოს მხარს უჭერს ევროკავშირი.¹¹⁶

უკრაინის აგრესიის უმაღლეს პალატას მნიშვნელოვანი პრაქტიკული უპირატესობა ექნება სპეციალურ ტრიბუნალთან შედარებით, რადგან იგი დაეყრდნობა უკრაინის მოქმედ სასამართლო სისტემას, თავიდან აიცილებს ახალი ტრიბუნალის შექმნის აუცილებლობას *ex nihilo* და გამოიყენებს ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ექსპერტიზას გამოძიებასთან და საერთაშორისო დანაშაულების სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ HUCA შეამცირებს კონფლიქტებს შორის სელექციურობის აღქმას, მიუხედავად იმისა, რომ შემოიფარგლება რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით. ბოლოს და ბოლოს, უკრაინას ძნელად შეიძლება დააბრალო რუსული აგრესიისთვის პრიორიტეტის მინიჭება სხვა აგრესიულ აქტებთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რამდენად მსგავსია რუსეთის აგრესია, აგრესიის სხვა დანაშაულებთან მიმართებით. ასევე არ შეიძლება ევროპის საბჭოს დადანიშნულება შერჩევითობისთვის უშუალოდ HUCA-ს და არა სხვა ჰიბრიდული ტრიბუნალების მხარდაჭერისთვის, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში კონფლიქტს აშკარად აქვს გლობალური შედეგები, რუსეთის შეჭრა პირდაპირ და უშუალო საფრთხეს უქმნის ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს, განსაკუთრებით აღმოსავლეთისა და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებს.

ევროპის საბჭოს მიერ მხარდაჭერილი უკრაინის აგრესიის უმაღლესი პალატა ასევე შეამცირებს „ბინძური ხელების“ პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ევროსაბჭოს წევრები არიან, სხვა სახელმწიფოების უმეტესობა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ICC-ს იურისდიქციის შეზღუდვაზე აგრესიასთან მიმართებით, ან/და ერაყში შეჭრაზე – აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია – ისინი წევრები არ არიან. უფრო მეტიც, ევროპის საბჭოს წევრებმა დაამტკიცეს, რომ აგრესიის დანაშაულზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე, ბევრად უფრო მეტად არიან მოწადინებულნი, ვიდრე რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები. უფრო კონკრეტულად, მხოლოდ 43-მა სახელმწიფომ მოახდინა საერთაშორისო სასამართლოს აგრესიის შესახებ შესწორებების რატიფიცირება და მათგან 28 (65%) ევროსაბჭოს წევრია. ანალოგიურად, 39 სახელმწიფოდან, რომლებმაც აგრესიის კრიმინალიზაცია მოახდინეს ადგილობრივად, 26 ევროსაბჭოს წევრია (67%). საერთო ჯამში, ევროსაბჭოს 46 წევრიდან, 37-მა (80%) ან მოახდინა აგრესიის შესახებ შესწორებების რატიფიცირება, ან აგრესიის კრიმინალიზაცია შეიძლება სახელმწიფოებრივი გზით.

თუმცა, უკრაინის აუმაღლესი პალატას ექნება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაკლი: პიროვნული იმუნიტეტი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებისმიერი სასამართლო, რომელიც შექმნილია უკრაინაში შეჭრაზე პასუხისმგებელი პირების გასამართლებლად, საერთაშორისო თუ ეროვნული, სავარაუდოდ დაასკვნის, რომ რუს ჩინოვნიკებს არ აქვთ ფუნქციონალური იმუნიტეტი აგრესიის მიმართ. ამის საპირისპიროდ, ძნელია იმის დანახვა, თუ როგორ შეუძლია ისეთ ჰიბრიდულ ტრიბუნალს, როგორცაა HUCA, გააუქმოს პირადი იმუნიტეტი,

115 U4 Practice Insight, “Launching an Effective Anti Corruption Court: Lessons from Ukraine,” 15 June 2021, <https://www.u4.no/publications/launching-an-effective-anti-corruption-court#2-establishing-the-high-anti-corruption-court>.

116 იქვე.

იმის გათვალისწინებით, რომ მისი მარეგულირებელი წესდება არ იქნება სავალდებულო ისეთი ექვემდებარებისთვის, როგორცაა პუტინი და ლავროვი. SCSL ასევე ფორმალურად იყო ჰიბრიდული ტრიბუნალი, მაგრამ გაეროს/სიერა ლეონეს შეთანხმება, რომელმაც შექმნა ტრიბუნალი, სულ მცირე, უფლებამოსილი იყო უშიშროების საბჭოს მიერ, რომელიც მოქმედებს წესდების 39-ე და 41-ე მუხლების შესაბამისად. გაეროს უშიშროების საბჭო აშკარად არ დაუჭერს მხარს HUCA-ს, რუსეთის მუდმივი ვეტოს გათვალისწინებით. ამრიგად, HUCA საკმარისი ხმათა რაოდენობით უნდა დამტკიცდეს გენერალური ასამბლეის მიერ, რომ დამაჯერებლად მოითხოვოს პირადი იმუნიტეტის გაუქმების უფლება. ასეთი დამტკიცება ნაკლებსავარაუდოა, ზემოთ განხილული ყველა მიზეზის გამო.

ლიდერობის მოთხოვნა

ICC-ს გარდა, ყველა საერთაშორისო შესაძლებლობა – სპეციალური ტრიბუნალი, რომელიც შექმნილია სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ ან გაეროსა და უკრაინას შორის შეთანხმებით; უკრაინის სასამართლო სისტემაში დაფუძნებული ჰიბრიდული ტრიბუნალი – აჩენს მნიშვნელოვან და არსებით კითხვას აგრესიის განმარტებასთან დაკავშირებით: კერძოდ, რა დონის ხელმძღვანელობის მოთხოვნას წამოაყენებს სასამართლო. უფრო კონკრეტულად, აგრესია ყოველთვის განიხილებოდა, როგორც დანაშაული, რომლის ჩადენაც მხოლოდ მაღალი რანგის პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებს შეუძლიათ.¹¹⁷ თუმცა, აგრესიის ჩვეულ განმარტებაში, ლიდერობის მოთხოვნა განსხვავდება რომის სტატუტის აგრესიის დეფინიციისგან. ჩვეულებითი სტანდარტი, რომელიც მიღებულ იქნა როგორც ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალების, ასევე IMTFE-ს მიერ,¹¹⁸ ყველაზე ზუსტად აისახა უმაღლესი სარდლობის (*High Command*) საქმეში: „ეს არ არის პიროვნების წოდება ან სტატუსი, არამედ მისი ძალა, ჩამოაყალიბოს ან გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს პოლიტიკაზე, რომელიც არის გადაწყვეტი საკითხი მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ბრალდებით მისი დანაშაულის დასადგენად.“¹¹⁹ რომის სტატუტის სტანდარტი ჩამოაყალიბებულია რომის სტატუტის 8bis(3) მუხლში: „აგრესიის დანაშაულთან დაკავშირებით, ამ მუხლის დებულებები ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც უჭირავთ იმგვარი თანამდებობრივი პოზიცია, რომ განახორციელონ ეფექტური კონტროლი ან წარმართონ სახელმწიფოს პოლიტიკური ან/და სამხედრო ქმედებები.“¹²⁰

ICC აშკარად ვალდებულია გამოიყენოს რომის სტატუტის ხელმძღვანელობის მოთხოვნა. თუმცა, სხვა ტრიბუნალებს, შეუძლიათ, გამოიყენონ რომის სტატუტი ან ჩვეულებითი სტანდარტი. მაკდუგალი თვლის, რომ „აუცილებელია, უკრაინის წინააღმდეგ ჩადენილი

117 იხილეთ Kevin Jon Heller, “Retreat from Nuremberg: The Leadership Requirement in the Crime of Aggression,” *European Journal of International Law* 18, no. 3 (2007): 479.

118 იქვე., 483-8.

119 *United States v. von Leeb et al.*, Military Tribunal XII, 11 *Trials of War Criminals Before the Nuernberg Military Tribunals Under Control Council Law No. 10* (1950), 489. *Emphasis added.*

120 დამატებულია ხაზგასმა (აქცენტი).

აგრესიის დანაშაულის დევნისათვის შექმნილი ნებისმიერი ad hoc მექანიზმის შემადგენელი ინსტრუმენტი იმეორებდეს აგრესიის დანაშაულის განმარტებას, რომელიც მოცემულია რომის სტატუტში.¹²¹ აღნიშნულის საპირისპიროდ, ერთობლივი განცხადება და დეკლარაცია მიუთითებს, რომ რომ სპეციალურმა ტრიბუნალმა უნდა „გამოიძიოს და გაასამართლოს პირები, რომლებმაც ჩაიდინეს აგრესიის დანაშაული უკრაინის ტერიტორიის მიმართ, მათ შორის, ვინც მატერიალური გავლენა მოახდინა ან ხელი შეუწყო ამ დანაშაულის ჩადენას“¹²² – ჩვეულებითი ლიდერობის მოთხოვნა. ევროპის საბჭო კი გვთავაზობს რეკომენდაციას, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც ბუნდოვანი, რადგან იგი მოუწოდებს შეიქმნას ad hoc საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი, რომელიც „გამოიყენებს აგრესიის დანაშაულის განმარტებას, როგორც დადგენილია ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში, რომელიც ასევე შთააგონებულია აგრესიის დანაშაულის ICC-ის წესდების მე-8 bis მუხლში მოცემული განმარტებით“.

აღრეც ვამტიკიცებდი, რომ ძირითადი განსხვავება ჩვეულებასა და რომის სტატუტს შორის არის ის, რომ „კონტროლი ან მართვის“ სტანდარტი გამორიცხავს პოტენციურ დამნაშავეთა ორ კატეგორიას, რომლებსაც „ფორმის ან გავლენის“ სტანდარტი არ აქვს: კერძო ეკონომიკური აქტორები, როგორცაა მრეწველები და ფინანსისტები და სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც თანამონაწილენი არიან სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის დანაშაულებრივ აქტში.¹²³ არც ერთი ჩანს რელევანტური რუსეთისა თუ ბელარუსისთვის. პირველი კატეგორიის თვალსაზრისით, ორივე სახელმწიფოში კერძო ეკონომიკურ აქტორებზე დასავლური სანქციების დაწესების მიუხედავად, არ არსებობს არანაირი მტიკიცებულება იმისა, რომ რომელიმე მრეწველმა ან ფინანსისტმა ფორმა მისცა ან გავლენა მოახდინა, მით უმეტეს აკონტროლებდა ან ხელმძღვანელობდა რუსეთის გადაწყვეტილებას უკრაინაში შეჭრაზე, ან ბელარუსის გადაწყვეტილებაზე, მხარი დაეჭირა რუსეთის შეჭრისთვის. მეორე კატეგორიის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ბელარუსელ ჩინოვნიკებს არ შეეძლოთ „ეკონტროლებინათ ან ხელმძღვანელობდნენ“ რუსეთის შეჭრას უკრაინაში,¹²⁴ ბელარუსმა ჩაიდინა აგრესიის საკუთარი დანაშაულებრივი აქტი. ტრიბუნალი, რომელიც გამოიყენებს ჩვეულებრივ სტანდარტებს ან რომის სტატუტის სტანდარტს, ამგვარად, შეიძლება გაასამართლოს ბელარუსის ოფიციალური პირები, რომლებიც პასუხისმგებლენი არიან ბელარუსის გადაწყვეტილებაზე, რომ მისი ტერიტორია და აეროპორტები ხელმისაწვდომი გაეხადა რუსული არმიისთვის.

მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანი იქნება, ხელმძღვანელობის რომელ მოთხოვნას გამოიყენებს ad hoc ტრიბუნალი. საკამათოა, რომ „კონტროლის ან მართვის“ სტანდარტი

121 McDougall, “Why.”

122 ერთობლივი განცხადება და დეკლარაცია, 3.

123 Heller, “Retreat,” 488–96.

124 „კონტროლის ან მართვის“ სტანდარტი ვრცელდება აგრესიაში მონაწილეობის ყველა ფორმაზე, მათ შორისაც კი, რომლებიც წარმოადგენს კომისიის სისადავის ფორმებს. რომის სტატუტი, მუხ. 25(3)bis. და მიუხედავად იმისა, რომ 8bis(3) მუხლის ტექსტი ამბობს, რომ დამნაშავე უნდა იყოს „სახელმწიფოს“ ლიდერი, დანაშაულის ელემენტები ცხადყოფს, რომ ის უნდა იყოს სახელმწიფოს ლიდერი, რომელიც ახორციელებს აგრესიის აქტს. იხილეთ დანაშაულის ელემენტები, 8bis მუხლ., მე-3 ელემენტი („მოძალადე იყო პირი, რომელსაც ეფექტურად აკონტროლებდა ან ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს პოლიტიკურ ან სამხედრო ქმედებებს, რომელმაც ჩაიდინა აგრესიის აქტი“).

მოიცავს ნაკლებად პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებს, ვიდრე „ფორმის ან გავლენის“ სტანდარტი.¹²⁵ Ad hoc ტრიბუნალს, რომელსაც სურს აგრესიის ბრალდებულების არჩევასთან დაკავშირებით პროკურატურის მოქნილობის მაქსიმალური გაზრდა, უმჯობესი იქნება, რომის სტატუტის ნაცვლად, ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის მოთხოვნას თუ მიიღებს. ასეთი მოქნილობა განსაკუთრებით სასურველია რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის კონტექსტში, იმის გათვალისწინებით, რომ უპირველესი დაბრკოლება, რომელსაც ნებისმიერი ad hoc ტრიბუნალი წააწყდება, სავარაუდოდ, პრაქტიკული იქნება და არა სამართლებრივი: კერძოდ, ბრალდებულების სასამართლოს წინაშე წარდგენა. რაც უფრო ფართოა დამნაშავეთა დიაპაზონი, რომლის მიმართაც ტრიბუნალს შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნა, მით უფრო სავარაუდოა, რომ მას საბოლოოდ რეალური საქმე ექნება.

შიდა სისხლისსამართლებრივი დევნა

ასევე შესაძლებელი იქნება, სულ მცირე, ზოგიერთი რუსი ლიდერის სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება ეროვნულ სასამართლოებში, უკრაინაში თუ სხვაგან.

უკრაინა

შიდა სასამართლო პროცესების ყველაზე აშკარა ადგილი თავად უკრაინა იქნება. უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 437 მუხლი, რომელიც ეფუძნება აგრესიის ჩვეულებით სამართლებრივ განმარტებას, ადგენს, რომ „აგრესიული ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის დაგეგმვა, მომზადება ან წარმოება, ან რაიმე ასეთი მიზნებისთვის შეთქმულება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე“¹²⁶ და რომ „აგრესიული ომის ან აგრესიული სამხედრო მოქმედებების წარმოება ... ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე“¹²⁷

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას აქვს როგორც მორალური, ისე იურიდიული უფლება, აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა რუსული აგრესიის წინააღმდეგ, არსებობს მიზეზები, რაც ეჭვქვეშ დააყენებს ასეთი დევნის მიზანშეწონილობას. უკრაინამ, 2014 წლიდან დღემდე, აღნიშნული დებულება სულ მცირე ორჯერ მაინც გამოიყენა. წინა სასამართლო პროცესზე, ორი დაბალი რანგის რუსი ჯარისკაცი გაასამართლეს ამ მუხლის დარღვევისთვის,

125 იხილეთ McDougall, Crime of Aggression, 183.

126 უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 437(1).

127 იქვე., მუხლი 437(2).

უკრაინაში შეჭრისა და ლუგანსკის რეგიონში საომარ მოქმედებებში მონაწილეობის გამო.¹²⁸ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, არსებობს ორი მნიშვნელოვანი პრობლემა მათ მსჯავრდებასთან დაკავშირებით. პირველი, ქმედება, რისთვისაც ჯარისკაცები გაასამართლეს – „აგრესიული ომის წარმოება“; არის იდიოსინკრატული და უპრეცედენტო, რადგან აგრესიის ყოველი საერთაშორისო განმარტება დანაშაულში მონაწილეობას ზღუდავს აგრესიის აქტის დაგეგმვამდე, მომზადებამდე, წამოწყებამდე ან განხორციელებამდე. არც თავად 437 მუხლი და არც სასამართლოს გადაწყვეტილება განმარტავს, თუ რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან „ჩატარება“ და „წარმოება“. მეორე, მსჯავრდებების შეჯერება შეუძლებელია ნიურბერგის შემდეგ დამკვიდრებულ უდავო აზრთან, რომ აგრესია არის ლიდერის დანაშაული.¹²⁹ დაბალი რანგის ჯარისკაცები, რომლებიც მონაწილეობენ აგრესიის დანაშაულებრივ აქტში, არ აკმაყოფილებენ ლიდერობის მოთხოვნას არც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლისა და არც რომის სტატუტის მიხედვით.

ლიდერობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა, რადგან უკრაინის გენერალურმა პროკურატურის ოფისმა (OPG) განაცხადა, რომ მან დააიდენტიფიცირა 623 რუსი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან აგრესიის დანაშაულზე.¹³⁰ „მოადგილეები“, „სამხედრო სარდლობა“, „ჩინოვნიკები“, „სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები“, „ომის წამქეზებლები და კრემლის პროპაგანდისტები.“¹³¹ ნაკლებსავარაუდოა, რომ ამ ეჭვიმთავრებულ მცირე რაოდენობას საერთაშორისო სამართლის მიხედვით ლიდერის კვალიფიკაცია ჰქონდეს. მხოლოდ რამდენიმე რუსი სამართალდამცავი ჩინოვნიკი და პროპაგანდისტი იქნებოდა იმ მდგომარეობაში, რომ „შეექმნა ან გავლენა მოეხდინა“ რუსეთის შეჭრაზე უკრაინაში, მით უმეტეს, „გააკონტროლებდა ან წარმართავდა“ მას. იგივე შეიძლება ითქვას ხელისუფლების „ჩინოვნიკებზე“, რომლებიც არც მინისტრები არიან და არც მოადგილეები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დეპუტატები შეიძლება აკმაყოფილებდნენ „ფორმის ან გავლენის“ სტანდარტს, მაგრამ ისინი არ დააკმაყოფილებენ „კონტროლის ან მართვის“ სტანდარტს. შესაბამისად, „მინისტრები“ და რუსეთის „სამხედრო სარდლობის“ წევრები რჩებიან როგორც ერთადერთი ეჭვიმთავრები, რომლებმაც შეიძლება დააკმაყოფილონ როგორც ჩვეულებითი, ისე რომის სტატუტით განსაზღვრული „ხელმძღვანელობის“ მოთხოვნა.

უკანასკნელ სასამართლო პროცესზე, უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი გაასამართლეს აგრესიული ომის წარმოებაში თანამონაწილეობისთვის – მუხლი 437(2) საფუძველზე – იმისთვის, რომ პუტინს სთხოვა რუსული ჯარის გაგზავნა უკრაინაში მისი თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ.¹³² იანუკოვიჩის ნასამართლობა არანაკლებ პრობლემატურია, ვიდრე დაბალი რანგის რუსი ჯარისკაცებისა. აღნიშნული აძლიერებს

128 Sergey Sayapin, “A Curious Aggression Trial in Ukraine: Some Reflections on the Alexandrov and Yerofeyev Case,” *Journal of International Criminal Justice* 16 (2018): 1094.

129 იქვე., 1095.

130 Sergey Vasiliev, “The Reckoning for War Crimes in Ukraine Has Begun,” *Foreign Policy*, 17 June 2022, <https://foreignpolicy.com/2022/06/17/war-crimes-trials-ukraine-russian-soldiers-shishimarin/>.

131 იხილეთ Prosecutor General’s Office, “Crimes Committed During the Full-Scale Invasion of RF,” *Twitter*, 3 June 2022, https://twitter.com/GP_Ukraine/status/1532607993338011649/photo/1.

132 Sergey Sayapin, “The Yanukovich Trial in Ukraine: A Revival of the Crime of Aggression?” *Israel Yearbook on Human Rights* 50 (2020): 65.

შეშფოთებას უკრაინის მიერ აგრესიის დანაშაულის მიმართ ლიდერობის მოთხოვნების შეუსრულებლობის შესახებ: მიუხედავად იმისა, რომ იანუკოვიჩი ლიდერის კვალიფიკაციას ერგებოდა, სანამ იგი უკრაინის პრეზიდენტი იყო, მისი მოთხოვნა რუსეთს მას შემდეგ მიუვიდა, რაც მან პოსტი დატოვა. თუმცა, უფრო შემამოფოთებელია ის ფაქტი, რომ იანუკოვიჩი დაუსწრებლად გაასამართლეს. მიუხედავად იმისა, რომ დაუსწრებელი სასამართლო პროცესები არ არის აკრძალული საერთაშორისო კანონმდებლობით, ისინი მკაცრად უარყოფილია, რადგან კომპრომეტირებას უკეთებს ბრალდებულის უნარს, დაიცავს თავისი უფლებები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამისად.¹³³ ისინი ასევე ექვემდებარებიან მკაცრ პროცედურულ მოთხოვნებს, რომლებიც სათანადოდ არ არის დაცული უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.¹³⁴ მიუხედავად ამისა, უკრაინამ განაგრძო იანუკოვიჩის სასამართლო პროცესი და ცხადყო, რომ აპირებს რუს ექვმიტანილთა დაუსწრებლად დევნას, მათ შორის მათ დევნას, ვის მიმართაც მიმდინარეობდა გამოძიება აგრესიის დანაშაულის გამო.¹³⁵ თუკი უკრაინა კვლავ ასე მოიქცევა, სავარაუდოდ, საერთაშორისო თანამეგობრობა არალეგიტიმურად ჩათვლის ნებისმიერ ამგვარ მსჯავრდებას.

გასაგებად რომ ვთქვათ, არცერთი ეს პრობლემა არ არის გადაულახავი. უკრაინას შეუძლია აიღოს ვალდებულება, არ დაიწყოს დევნა რუს ექვმიტანილთა დაუსწრებლად, ხოლო პარლამენტს შეუძლია მოახდინოს სისხლის სამართლის კოდექსის ჰარმონიზაცია აგრესიის საერთაშორისო განმარტებასთან, 437 მუხლში ორი ცვლილების მიღებით: „გამტარი“ პუნქტის აღმოფხვრა, მუხ. 437(2) და ლიდერობის მოთხოვნის აშკარა გათვალისწინება 437(1) მუხლში. ამ უკანასკნელის ცვლილების თვალსაზრისით, უკრაინას ექნება თავისუფალი არჩევანი, ჩვეულებითი „ფორმის ან გავლენის“ სტანდარტსა და რომის სტატუტის „კონტროლის ან მართვის“ სტანდარტს შორის. ვფიქრობ, პირველი საუკეთესო არჩევანია პროკურატურის მოქნილობის გაზრდის თვალსაზრისით.

არ აქვს მნიშვნელობა როგორ არის ფორმულირებული უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 437-ე მუხლი, თუმცა, უკრაინაში შიდა პროკურატურა უფრო გადაუჭრელ დაბრკოლებას აწყდება: პირადი იმუნიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გაურკვეველობა, ვრცელდება თუ არა ასეთი იმუნიტეტი საერთაშორისო სასამართლოების წინაშე, ეჭვგარეშეა, რომ იგი ვრცელდება ეროვნულ სასამართლოებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ICJ-მ, დაკავების ორდერის საქმეში, პირდაპირ დაადგინა, რომ „სახელმწიფოში მაღალი თანამდებობის ზოგიერთი მფლობელი, როგორცაა სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი, სარგებლობენ იმუნიტეტებით სხვა იურისდიქციისგან, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე.“¹³⁶ მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას აქვს ნაკლებად მნიშვნელოვანი რუსი ჩინოვნიკების დევნის უფლება, შესაბამისად, მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია პუტინის ან ლავროვის სისხლისსამართლებრივი დევნა.

133 Human Rights Watch, Letter to the Secretariat of the Rules and Procedure Committee Extraordinary Chambers of the Courts of Cambodia, 17 November 2006, <https://www.hrw.org/legacy/backgrounder/ij/cambodia1106/cambodialetter1106web.pdf>.

134 Global Rights Compliance, “Trials in Absentia,” 11–13, <https://www.asser.nl/media/795064/grc-trials-in-absentia-english.pdf>.

135 “Ukraine Files Eight More War Crimes Cases to Court – Prosecutor,” Reuters, 8 June 2002, <https://www.reuters.com/world/europe/ukraine-has-filed-more-eight-war-crimes-cases-court-prosecutor-2022-06-08/>.

136 Arrest Warrant, 21–2, პარა. 58.

სხვა სახელმწიფოები

ლიტვამ და პოლონეთმა გამოაცხადეს, რომ ამჟამად იძიებენ რუსეთის აგრესიის დანაშაულებრივ აქტს უკრაინის წინააღმდეგ.¹³⁷ ლიტვის გამოძიება ეფუძნება საყოველთაო იურისდიქციას, ხოლო პოლონეთის გამოძიება, როგორც ჩანს – დამცავ იურისდიქციას.¹³⁸

ლიტვა და პოლონეთი იგივე პრობლემას აწყდებიან პიროვნული იმუნიტეტის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, ლიტვა დგას მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხის წინაშე, რაც უკრაინას არ აქვს: კერძოდ, არსებობს თუ არა რეალურად საყოველთაო იურისდიქცია აგრესიისთვის. მცირერიცხოვანი სახელმწიფოები, დაახლოებით 18¹³⁹, ითხოვს უფლებას გამოიყენონ ასეთი იურისდიქცია თავიანთ შიდა კანონმდებლობაში,¹⁴⁰ ხოლო ზოგიერთი მეცნიერი მხარს უჭერს მათ პოზიციას.¹⁴¹ პრინსტონის საყოველთაო იურისდიქციის პრინციპები ასევე მოიცავს მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულებებს.¹⁴² მიუხედავად ამისა, „ძალზე საეჭვოა, რომ მოქმედი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ აგრესია ექვემდებარება საყოველთაო იურისდიქციას.“¹⁴³ მხოლოდ 40-მდე სახელმწიფო აღიარებს აგრესიას დანაშაულად,¹⁴⁴ და მათი უმრავლესობა არ ითვალისწინებს დანაშაულის საყოველთაო იურისდიქციას. უფრო მეტიც, როგორც მაკდუგალმა აღნიშნა, „ICJ-ს დაპატიმრების ორდერის არც ერთი ცალკეული გადაწყვეტილება არ ცდილობს გამოავლინოს დანაშაულები, რომელთა უნივერსალური იურისდიქცია უკავშირდება აგრესიის დანაშაულს, ან მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს.“¹⁴⁵ პრინსტონის პრინციპები (რომლებიც არ წარმოადგენენ არც სახელმწიფო პრაქტიკას და არც *opinio juris*) ორაზროვანია მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების სტატუსის შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ კომენტარში აღნიშნულია, რომ ისინი შეტანილი იქნა მე-2 პრინციპში „მიუხედავად გარკვეული უთანხმოებისა“ – და ძირითადად „იმისთვის, რომ გავიხსენოთ ნიურბერგის ქარტიის მე-6(ა) მუხლის ფორმულირება.“¹⁴⁶ თუმცა, ცხადია, რომ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი რეალურად ახორციელებდა საყოველთაო იურისდიქციას.¹⁴⁷

პოლონეთის დამოკიდებულება პროტექციულ იურისდიქციაზე ასევე საკამათოა. მაკდუგალი სკეპტიკურად უყურებს იმ საკითხს, რომ ისეთ სახელმწიფოს, როგორც არის პოლონეთი, რომელიც მხოლოდ ირიბად დაზარალდა რუსეთის აგრესიით,¹⁴⁸ აქვს

137 Pocij, CoE Report, 17.

138 McDougall, “Why.”

139 იქვე.

140 McDougall, Crime of Aggression, 318.

141 Michael P. Scharf, “Universal Jurisdiction and the Crime of Aggression,” Harvard International Law Journal 33, no. 2 (2012): 388.

142 Princeton Principles on Universal Jurisdiction (Princeton: Program in Law and Public Affairs, 2001), 29.

143 Roger S. Clark, “Complementarity and the Crime of Aggression,” in The International Criminal Court and Complementarity: From Theory to Practice, Vol. II, eds. Carsten Stahn and Mohamed El Zeidy (Cambridge: Cambridge University Press, 2011), 731.

144 Sergey Sayapin, The Crime of Aggression in International Law (The Hague: TMC Asser Press, 2014), xx.

145 McDougall, Crime of Aggression, 319–20.

146 Princeton Principles, 47.

147 McDougall, Crime of Aggression, 318.

148 McDougall does not contest the right of a state targeted by aggression to invoke protective jurisdiction – though, as she points out, that state would almost certainly invoke territorial jurisdiction instead. *Ibid.*

უფლება მოითხოვოს დამცავი იურისდიქცია. მისი აზრით, „არ არის აშკარა... რომ უკრაინის წინააღმდეგ ჩადენილი აგრესიის დანაშაული არის „დანაშაული პოლონეთის რესპუბლიკის შიდა ან გარე უსაფრთხოების წინააღმდეგ“ (ან თუნდაც „შეურაცხყოფა პოლონეთის არსებითი ეკონომიკური ინტერესების წინააღმდეგ“).¹⁴⁹ როგორც ზოგადი წესი, რომელიც ეხება აგრესიის დანაშაულის დამცავ იურისდიქციას, მაკდუგალის მიერ მითითებული განსხვავება პირდაპირ და არაპირდაპირ ეფექტს შორის დამაჯერებელია. თუმცა, აგრესიის აქტი ირიბ გავლენას ახდენს ზოგიერთ სახელმწიფოზე უფრო მეტად, ვიდრე სხვაზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის შეჭრა უკრაინაში გლობალურ შეშფოთებას იწვევს, ის უფრო მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის პოლონეთს და სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც ესაზღვრებიან რუსეთს, უკრაინას და ბელარუსს, ვიდრე (ვთქვათ) ახალ ზელანდიას, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ლტოლვილების კუთხით და ა.შ. ამგვარად, როგორც ჩანს, მინიმუმ დამაჯერებელია ისეთი სახელმწიფოსთვის, როგორც არის პოლონეთი, გამოიყენოს დამცავი იურისდიქცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი უშუალოდ არ არის რუსული აგრესიის სამიზნე.

რა იქნება შემდეგ?

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიაზე პასუხისმგებლობის ნებისმიერმა განხილვამ უნდა აღიაროს იმის მცირე პერსპექტივა, რომ რუსი პოლიტიკური ან სამხედრო ლიდერი უახლოეს მომავალში სისხლისსამართლებრივი დევნის წინაშე აღმოჩნდებიან. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები მართებულად აღნიშნავენ, რომ აგრესიის დამტკიცება უფრო ადვილია, ვიდრე ნებისმიერი სხვა საერთაშორისო დანაშაულის,¹⁵⁰ რუსი ლიდერი, რომელიც აკმაყოფილებს აგრესიის ხელმძღვანელობის მოთხოვნებს, ნაკლებსავარაუდოა, მოხვდება მტრის ხელში, რომელიც აკრძალავს ამჟამინდელი ხელისუფლების შეცვლას ხელისუფლების მიერ, ძალიან განსხვავებული საერთაშორისო პრიორიტეტებით.

თუმცა, რაც ნაკლებსავარაუდოა, ზოგჯერ სწორედ ასე ხდება. რადგან ასეა, ეს სტატია შეეცადა წარმოედგინა შედარებით ყოვლისმომცველი ანალიზი იმისა, თუ როგორი შეიძლება იყოს რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ წარმართული მართლმსაჯულება. როგორც ვნახეთ, ანგარიშვალდებულების შესაძლებლობები განსხვავდება მათი ლეგიტიმურობის, ეფექტურობისა და დამაჯერებლობის თვალსაზრისით.

საუკეთესო ვარიანტი, მთლიანობაში, მაინც საერთაშორისოსამართლებრივია: ICC-ს იურისდიქციის გაფართოება უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ ჩადენილი აგრესიის დანაშაულის ჩათვლით. ეს ვარიანტი არის ყველაზე ეკონომიური და ყველაზე ლეგიტიმური.

149 იქვე.

150 Katarina Sipulova, "International Law After the War in Ukraine," Oxford Global Society, 19 May 2022, <https://oxgs.org/2022/05/19/international-law-after-the-war-of-ukraine-towards-the-post-bellum-accountability/>.

ეკონომიური, რადგან სასამართლო უკვე არსებობს და უკვე იძიებს საერთაშორისო დანაშაულებებს უკრაინაში, ხოლო ლეგიტიმური, რადგან სასამართლო, რომელსაც აქვს აგრესიაზე უფრო ფართო იურისდიქცია, შეამცირებს (თუმცა, არ აღმოფხვრის) კონფლიქტებს შორის სელექციურობას. თუმცა, სამწუხაროდ, ICC-ს ვარიანტი ასევე ყველაზე ნაკლებად დამაჯერებელია. იმის ალბათობა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა შეცვალონ რომის წესდება, რათა აღმოიფხვრას არაწევრის სახელმწიფოების გამორიცხვა აგრესიის დანაშაულისგან, პრაქტიკულად ნულოვანია.

შიდა ვარიანტები შერეულია. უკრაინის სისხლისსამართლებრივი დევნა ეფექტური იქნება იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს აქვს მოქმედი მართლმსაჯულების სისტემა და ისინი თითქმის ლეგიტიმურად ჩაითვლება, იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტი უკრაინის აგრესიის განმარტებას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანს და უარყოფს დაუსწრებლად სასამართლო პროცესების გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა, უკრაინული სასამართლო პროცესები შემოიფარგლება რუსეთის ლიდერებით, რომლებსაც არ აქვთ პირადი იმუნიტეტი. პუტინი და ლავროვი სხვაგან უნდა დასაჯონ. იგივე ითქმის მესამე ქვეყნების სასამართლო პროცესებზე და ასეთი სასამართლო პროცესები, ნებისმიერ შემთხვევაში, სავარაუდოდ, მცირეა იმის გათვალისწინებით, რომ საყოველთაო იურისდიქცია, ალბათ, არ ვრცელდება აგრესიაზე და რომ დამცავი იურისდიქცია საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფოების მცირე რაოდენობის მიერ, რომლებიც უკრაინაში რუსეთის შეჭრით ყველაზე მეტად დაზარალდნენ.

შესაბამისად, რამდენადაც საერთაშორისო საზოგადოებას სურს პუტინისა და ლავროვის სისხლისსამართლებრივი დევნა, მისი ერთადერთი შესაძლო ვარიანტი არის რაიმე ტიპის ad hoc ტრიბუნალი. ყველაზე ლეგიტიმური არჩევანი იქნება უკრაინასა და გაეროს შორის შეთანხმებით შექმნილი სპეციალური ტრიბუნალი, გენერალური ასამბლეის მოწონებით ან ჰიბრიდული ტრიბუნალი, რომელიც მდებარეობს უკრაინაში და რომელსაც მხარს უჭერს ევროპის საბჭო, რადგან ორივე მათგანი გაცილებით ნაკლებად მგრძნობიარე იქნება შერჩევითი ბრალდებების მიმართ. ნებისმიერ ტრიბუნალს დასჭირდება გენერალური ასამბლეის მოწონება, რაც უნდა მრავალფეროვანი არგუმენტაცია ჰქონდეს პირადი იმუნიტეტის გვერდის ავლასთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, ასეთი მოწონება ნაკლებსავარაუდოა. ამრიგად, შესაძლებელია, ამ სტატიის განხილულმა არცერთმა ვარიანტმა არ შეძლოს პირადი იმუნიტეტის გათიშვა. ეს თუ ასეა, საუკეთესო შემთხვევაში, რაც საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია გააკეთოს პუტინზე და ლავროვზე ნაკლებად უფროსი რუს ლიდერების დევნაა. უკრაინის აგრესიის უმაღლესი პალატა, რომელსაც მხარს უჭერს ევროსაბჭო, საუკეთესო ვარიანტი იქნება, რადგან იგი გვთავაზობს ეფექტურობის ყველაზე პერსპექტიულ კომბინაციას, ლეგიტიმურობასა და ექსპერტიზას.